მუნიციპალიტეტის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №7(69) 2014 წ. 1-15 აპრილი ფასი 50 თეთრი

ევროპის პირველობა სამბოში
ორი ოქრო, ერთი ვერცხლი

10-14 აპრილს ესპანეთში მიმდინარე ევროპის პირველობაზე სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში სამმა საგარეჯოელმა თავი კარგად დაამახსოვრა სამბოს გულშემატკივრებს. ჭაბუკებში პირველი ადგილი ირაკლი კუპატაძემ (52 კგ. წონითი კატეგორია) და ახალგაზრდებში ზაურ მამარდაშვილმა (90 კგ წონითი კატეგორია) დაიკავეს. ახალგაზრდებში პირველი ადგილის კანდიდატი იყო კობა მჭედლიშვილიც (74კგ წონითი კატეგორია), მაგრამ რუს სამბისტთან უპირატესობა ვეღარ მოიპოვა და მეორე ადგილს დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ ზაურ მამარდაშვილი ესპანეთში წასვლამდე საბერძნეთში ახალგაზრდებში მსოფლიო თასის მოპოვებაზე იბრძოდა, მაგრამ იქ მხოლოდ მესამე ადგილის მოპოვება შეძლო. საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნებულს კი მეორე დღეს ესპანეთში გამგზავრება მოუწია.

საგარეჯოელი სპორტსმენები, ჭიდაობის გულშემატკივრები, სპორტგაერთიანება მადლობას უხდის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელობას ევროპის პირველობაზე სამივე სპორტსმენის მხარში დგომის, ნდობის გამოცხადებისა და დაფინანსებისათვის.

ახალ-ახალ გამარჯვებებს ველოდებით თქვენგან სეულის მომავალი მსოფლიო თასის მოსაპოვებლად!

ზაურ მამარდაშვილი

ირაკლი კუპატაძე

კობა მჭედლიშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა
თათბირი

8 აპრილი, 2014 წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი ლოლაძე** უძღვებოდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებმა გააკეთეს ზეპირი ინფორმაციები ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. როგორც გაირკვა, მთელ რიგ ორგანოებში კვლავ დაბალია სასმელი წყლის დებეტი.

თათბირის მონაწილეთ სოფლის მეურნეობის კუთხით სიახლეებზე ესაუბრა ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი*** **ნიკო ჯავახიშვილი.**

თათბირზე,ასევე,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა*** **სოსო თედიაშვილმა.**

გამწვანების აქცია სოფლებში

საქართველოს პრემიერ–მინისტრის ინიციატივის თანახმად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აქცია "დარგე შენი მომავალი" -ს ფარგლებში, რწმუნებულების ორგანიზებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ნერგები წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში დარგეს.

აქციაში საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და სოფლის მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი

გაბედული ნაბიჯები- მომავლის რწმენით

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს (უფროსი ნიკო ჯავახიშვილი) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნის პირველმა მსურველებმა მარტის ბოლო დღეებში მიაკითხეს – კონსულტაციის მისაღებად. შემდგომი პროცედურებისათვის სარეგისტრაციოდ კი უკვე სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის რეგისტრაციის სააგენტოს ესტუმრებიან. ისინი ხუთნი არიან. კოოპერატივი მეფუტკრეობის პროფილის იქნება, რადგან ხუთივე დღემდე ცალკ-ცალკე უვლიდა, უსათუთებოდა ფუტკრის ოჯახებს, უმკლავდებოდა თავს მოჯარულ პრობლემებს, დამოუკიდებლად ცდილობდა საოჯახო მეფუტკრეობის განვითარებას, ზოგჯერ იყო წარმატებები, ხან – მარცხიც – მოუსავლიანი წელიწადი ან ფუტკრის დაავადება. რეგისტრირების შემდეგ, პროფესიით მეფუტკრე – აგრონომი და თავისი 30 წლიანი გამოცდილებით ელგუჯა ქართლელიშვილი ჩაუდგება სათავეში ხუთწევრიან კოოპერატივს. აქ თითოეული მეპაიე თავისი კუთვნილი ფუტკრის ოჯახებით გაერთიანდება. სულ ფუტკრის 125 სკა ეყოლებათ მოსავლელად. მოვლა კი მართლაც სათუთად, დიდი ყურადღებით სჭირდება ფუტკარს. უამრავი მტერი ჰყავს: მწერები, ცხოველები, დაავადების გადამტანი ტკიპები. ამასთან, ფუტკრის ნორმალურ მუშაობასა და მოსავლიანობაზე დიდ გავლენას ახდენს გვალვიანიც და ზედმეტად ნალექიანი ზაფხულიც. ერთი დღით მომვლელისგან უყურადღებოდ მიტოვება, გამოვლენილი დაავადების სამკურნალოდ დაგვიანებული პროცედურები, პროფილაქტიკური ღონისძიებები, სამოქმედო არეალის შეცდომით შერჩევა, ტრანსპორტირების დროს დაშვებული უზუსტობა და მრავალი სხვა. უკვე გაწეულ ხარჯებსაც ვერ აინაზღაურებს მეფუტკრე. იქნებ ჩვეულებრივმა, მეფუტკრეობაში გაუთვითცნობიერებელმა ადამიანებმა არც კი ვიცით, რომ ფუტკარმა 1 კგ. თაფლის შესაგროვებლად ზუსტად 10 მილიონი გაფრენა უნდა შეასრულოს სკიდან სასურველ ყვავილამდე, ამასთან, არ უნდა ამოვარდეს სკაში ფუტკრის მიერ დაწესებული "დღის რეჟიმიდან", თავიანთი შინაგანაწესიდან. თუ როგორ შრომობს იგი თითოეული გრამის შესაგროვებლად, მისმა მომვლელებმა კარგად იციან. ამიტომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფუტკრის ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო. კოოპერატივის წევრებმა ზედმიწევნით უნდა იცოდნენ ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეების , მინდვრის ბალახების ყვავილობის ვადები და წინასწარ შემუშავებული, დაზუსტებული გრაფიკით მოახდინონ ფუტკრის სკების გადაადგილება. საამისოდ კი, ელგუჯა ქართლელიშვილის თქმით, საგარეჯოელებისათვის საუკეთესო პირობებია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მათივე თქმით, უბრალოდ, მხოლოდ ბუნებრივი პირობები თუ შეუწყობს ხელს მეპაიეებს, თავად თავს არ დაზოგავენ. მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისთვის ყველა პირობას შეუქმნიან ფუტკარს, რომლისგან დამზადებული სხვადასხვა სახის პროდუქტი არამარტო კვებითი ღირებულებით გამოირჩევა, არამედ ფართოდ გამოიყენება ფარმაკოლოგიაში მძიმე დაავადებების სამკურნალოდ.



მაშ, ასე, პირველი ნაბიჯები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესაქმნელად გადაიდგა. გადაიდგა მომავლის რწმენით – მთავრობა შესაბამის თანადგომას, დახმარებას გაუწევთ კოოპერატივის პირველი პრობლემების მოსაგვარებლად. და მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისათვის მუნიციპალიტეტის პირველი კოოპერატივის მეპაიეებს: ელგუჯა ქართლელიშვილს, კობა ხატიაშვილს, იოსებ ივანიაშვილს, გელა გზირიშვილს, იოსებ როსტიაშვილს, თორემ სხვანაირად შეუძლებელი იქნება იმ მიზნის განხორციელება ,რომელიც მათ დაისახეს. წლების განმავლობაში ისინი ხომ მარტო უმკლავდებოდნენ სიძნელეებს, შორიდან უზიარებდნენ ერთმანეთს ახალ ტექნოლოგიებს, ოცნებობდნენ წარმოების გაფართოების თაობაზე... ახლა კი ერთობლივი, გაერთიანებული ძალებით შეეცდებიან მეფუტკრეობის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, ქართული ფუტკრის პროდუქტის მსოფლიო არენაზე გატანას, რომელსაც ვერც ერთი ქვეყნაში წარმოებული ეს პროდუქტი ჯერჯერობით კონკურენციას ვერ უწევს.

მეხილეობა – დარგი, რომელიც დიდ ყურადღებას მოითხოვს

„მეხილეობა-მეგაღეობა ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია“

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების უმეტესი ნაწილი თავისი კლიმატური და ნიადაგობრივი პირობებით საუკეთესო გარემოს ქმნის მდიდარი ასორტიმენტის, მაღალხარისხოვანი ხილის წარმოებისათვის.

ხილი, გარდა იმისა, რომ უხვად შეიცავს კვებისათვის საჭირო ელემენტებს, როგორიცაა: შაქარი, ორგანული მჟავები, მინერალური მარილები, არომატული ნივთიერებანი, დიდი სამკურნალო მნიშვნელობითაც ხასიათდება. ხილი, ასევე, საკონსერვო და საკონდიტრო წარმოების მნიშვნელოვან ნედლეულს წარმოადგენს. ამ მხრივ ხილის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, რადგან იგი მთელი წლის განმავლობაში ადამიანის კვების ერთ-ერთ აუცილებელ პროდუქტად ითვლება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხეხილის ბაღებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ხეხილი დიდი რაოდენობით გამოყოფს ჟანგბადს და ამით აჯანსაღებს ჰაერს, აზომიერებს ჰავას, ზამთარში ამცირებს სუსხიანობას, ხოლო ზაფხულში – ჰაერის ტემპერატურას.

ხეხილის ბაღები, როგორც მწვანე სამოსელი, ალამაზებენ მიდამოს და დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებენ ადამიანს.

ხეხილოვანი კულტურები სხვა მრავალწლიან კულტურებთან შედარებით გამოირჩევა მნიშვნელოვანი უპირატესობებით: ჩვენი ნიადაგურ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა წარმოებული იქნას მაღალი სასაქონლო თვისებების კონკურენტუნარიანი პროდუქცია ჩვენს რაიონში, მეხილეობა მაღალრენტაბელური დარგია; ადგილობრივი ბაზარი ამ პროდუქციის ტრადიციული და ფართო მომხმარებელია; ფერმერები დაინტერესებული არიან გააშენონ ხეხილის ბაღები. ეს დარგი მნიშვნელოვანი საექსპორტო შემოსავლების მომტანი დარგია. ხეხილის ბაღის გაშენება, მოვლა და აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება სხვა კულტურებთან, კერძოდ, ვაზთან შედარებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს.

გარდა ჯიშურად გარანტირებული, სარგავი მასალის ხელმიუწვდომლობისა, სერიოზულ ხელისშემშლელ მიზეზებს წარმოადგენს შემდეგი სირთულეები: საქართველოში დღემდე ფუნქციონირებენ წვრილი სანერგე მეურნეობები, რომლებიც ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშე აწარმოებენ გაურკვეველი წარმოშობის ხეხილოვან კულტურათა ნერგებს. ბაღების აბსოლუტური უმრავლესობა შენდება მეცნიერულად დაუსაბუთებელი რეკომენდაციებისა და პროექტების გარეშე, რაც საბოლოოდ იძლევა უარყოფით შედეგს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში სასაქონლო გამოსავლიანობის ზრდაში მეტი ხვედრითი წონა აქვს კურკოვანებს, განსაკუთრებით ატამს, ჭერამს, გარგარს, ქლიავს, ტყემალს, ბალს, ვიდრე თესლოვანებს. ეს აიხსნება იმით, რომ კურკოვანები ადრე მწიფდება, როცა სხვა ხილი ჯერ კიდევ არ არის შემოსული. ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით მეხილეობა ჩვენთან მეტნაკლებადაა განვითარებული. ხეხილის ნარგაობის ტიპები ორნაირია და წარმოდგენილია, როგორც მასიური ბაღების, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე ცალკე ნარგაობათა ერთეული ძირების სახით.

ხეხილის ბაღის გასაშენებლად ადგილის არჩევისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას კონკრეტულად იმ ჯიშის მოთხოვნილებანი ნიადაგის მიმართ, რომელიც უნდა გაშენდეს, რათა მთლიანად დავაკმაყოფილოთ ამა თუ იმ ჯიშის ბიოლოგიური მოთხოვნები მაქსიმალური და ხარისხოვანი მოსავლის ხანგრძლივად მიღების მიზნით.

ვაშლი - კარგად ხარობს საკმაოდ ფხვიერ და ზომიერად ტენიან, საშუალო თიხნაროვან და მსუბუქ შავმიწა ნიადაგზე;

მსხალი – უფრო მომთხოვნია, ვიდრე ვაშლი. იგი სითბოსა და ტენს განსაკუთრებით საჭიროებს ვეგეტაციის პერიოდში. კარგად იზრდება და მსხმოიარობს ჰუმუსით მდიდარ ნიადაგზე.

ალუბალი – უკეთესად ხარობს კარბონატულ ნიადაგზე, ხეხილის დანარჩენ კულტურებთან. ალუბლისთვის სასურველია შეირჩეს ფერდობები.

ბალი – კარგად იზრდება მსუბუქ ნიადაგებზე ე.ი. მსუბუქ სილნარ, მსხვილ ქვიშნარ და თიხნაროვან ნიადაგებზე. ყვავილობის პერიოდში ბალი და ალუბალი მოითხოვს წაყინვებისგან საიმედო დაცვას.

ქლიავი – უფრო სითბოსმოყვარული მცენარეა, ვიდრე ალუბალი და ვაშლი. იგი ცუდად იზრდება და მსხმოიარობს ჰაერის და ნიადაგის სიმშრალის პირობებში.

გარგარი – კარგად ხარობს ღრმა, ფხვიერ ნიადაგებზე. იგი ვერ ეგუება მძიმე ნიადაგებს და ვერ იტანს ზედმეტ ტენს ნიადაგში. გარგარი უკეთ მსხმოიარობს მაღლობ ადგილებზე.

ატამი – კარგად ხარობს მსუბუქ, სილნარ და ქვიან ნიადაგებზე, მძიმე ნიადაგებს იგი ვერ ეგუება, უვარგისია მისთვის ბექობი ნიადაგები.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მეხილეობაში ძირეული ცვლილებები მოხდა. შეიცვალა ხეხილის კვების არეები, ჯიშები, საძირეები: ძლიერ მოზარდი ჯიშების ადგილი დაიკავა სუსტად მოზადმა ჯიშებმა, მაჟალოსა და კულტურულ საძირეებზე დამყნობილი ხეხილის ნაცვლად ბაღები ძირითადად შენდება ვეგეტატიურ საძირეზე დამყნილი ხეხილით. დიდი მოცულობის ვარჯის მქონე ხეხილი იცვლება მცირე მოცულობიანით.

მიუხედავად ამისა, ჩვენი მეხილეობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მოთხოვნებს, დაბალია ხილის საშუალო მოსავლიანობა, დაძლეული არაა ბაღების პერიოდული

მსხმოიარობა.

ხეხილის პერიოდული მსხმოიარობა და მცირე მოსავლიანობა პირველ რიგში გამოწვეულია აგროტექნიკის დაბალი დონით. უხარისხოდ ტარდება ნიადაგის გადახვნა და მოსწორება, არ შეაქვთ სასუქები, უხეშად ირღვევა დარგვის ვადები.

ხეხილის მოვლის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხეხილის სხვლას. სხვლა პირველ რიგში უნდა წარმოებდეს ჩონჩხის განსავითარებლად, ხოლო შემდეგ ხის ზრდისა და მოსავლიანობის რეგულირებისათვის.

ხეხილოვანი კულტურების გამრავლებაში უდიდეს როლს ასრულებს დღეს "ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი", რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჯიდაურაში მდებარეობს.

ხეხილოვანი კულტურების კოლექციებში თავმოყრილია 250-ზე მეტი დასახელების ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიში, მათ შორის ვაშლი – 35 ჯიში, მსხალი – 25 ჯიში, ატამი – 27, გარგარი – 15, ქლიავი – 20, ბალი – 17, ხურმა -3, ლეღვი- 4, ასევე არის ზღმარტლი, კომში, კაკლოვანი და კენკროვანი კულტურების ჯიშები.

მალე აღნიშნული ცენტრი საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს დაეხმარება თანამედროვე ტიპის სპეციალიზირებული, მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბაზისო სანერგეს მოწყობაში.

მეხილეობის დარგით დაინტერესებული პირებისთვის ხეხილოვანი კულტურების თანამედროვე აგროტექნოლოგიების გასაცნობად, ასევე ჩვენი ზონისათვის რეკომენდებული ჯიშების შერჩევაში, ჩვენი სამსახურის სპეციალისტებს შეუძლიათ შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა.

ნიკო ჯავახიშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის ეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.

საზოგადოება-აზრი-წინადადება

ახლოვდება არჩევნები

რეგიონი თვითმმართველობა მინდა მყავდეს?!

ორიოდე თვეღა გვაშორებს თვითმმართველობის არჩევნებამდე. ეს ორი თვე ამომრჩეველმაც და არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმაც მართლაც რომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ. ამომრჩეველი ძირფესვიანად შეეცდება მის მიერ ასარჩევი კანდიდატურის ბიოგრაფიის, მოღვაწეობის, სამოქმედო პროგრამის გაცნობას, კანდიდატი კი სამომავლო საქმიანობისათვის არსებული პრობლემების შესწავლას, დამუშავებას, მისი მოგვარების გზების ძიებას, დაპირებებისათვის მყარი ფუნდამენტის შექმნას.

ინტერესით კითხულობენ ამომრჩევლები არჩევნებში მონაწილეთა ვინაობას, მაგრამ, ჯერ-ჯერობით...

თუ რას ფიქრობს ამომრჩეველი, როგორი უნდა რომ ჰყავდეს მუნიციპალიტეტის მმართველობა, რამდენიმეს სწორედ ამ კითხვით მივმართეთ. აი რა გვიპასუხეს:

ელზა ესაიაშვილი-რევაზიშვილი – *საგარეჯოელი, პენსიონერი:* - ყოველი ხელმძღვანელი, ვინც კი არჩევნებით მოდის, დამეთანხმებით, დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს. ამდენად ვალდებულია ეს ტვირთი ღირსეულად ასწიოს. ტვირთი კი, მათ როგორ ესმით აქედან, არ ვიცი, მაგრამ საკმაოდ მძიმეა. ადვილი არ არის იფიქრო ისეთ რაიონზე, მის მცხოვრებლებზე, შენს ამომრჩეველზე, სადაც დასაქმების მწვავე პრობლემაა. ეს პრობლემა უკვე მსოფლიო მასშტაბისაა, მეტყვით, მაგრამ ჩვენ ჩვენი პრობლემა მოვაგვაროთ. მე, მაგალითად, ჩემი 150 ლარიანი პენსიით ხუთსულიან ოჯახს "ვინახავ". ადარ მრჩება თანხა წამლების საყიდლად. უკვე 75 წლის ვარ და რა გასაკვირია, წამალი დამჭირდეს. **დასაქმება**, აი, პირველი საკითხი, რომელიც რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა მოაგვაროს. ადრე საგარეჯოში უამრავი ქარხანა – ფაბრიკა იყო, ხალხი დასაქმებული. დღესაც შეიძლება საწარმოების გახსნა, თუ ინვესტორი გამოჩნდება. ინვესტორი კი რაიონის

ჭკვიანმა, დაინტერესებულმა ხელმძღვანელობამ უნდა მოიზიდოს.

ლია ბრძელიშვილი – *პატარა ჩაილური* – ჩვენი სოფლის დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში და მეორე სოფლის – დიდი ჩაილურის რწმუნებული პროფესიით მეტყველები არიან. ასე, რომ ყველაზე მეტად გული ჩვენი ტყეებისთვის მათ უნდა შესტკიოდეთ და შესტკივათ კიდეც, მაგრამ გამართული, ისეთი კანონი არ არსებობს ტყის დაცვაზე, რომელიც არც ტყეს მიაყენებს ზიანს და არც მოსახლეობას. **ტყე ბაიჩეხა**, ამის გამო, რა თქმა უნდა სასმელი წყალი შემცირდა, რამაც მოსახლეობის გასაჭირი გამოიწვია. საჭირო ხდება ტყეს ნამდვილი პატრონი გამოუჩნდეს და **დაარეგულიროს ტყით სარგებლობა**. მაგრამ ყველაზე კარგი ყველა სოფლის გაზიფიცირებაა, რაც ხელს შეუშლის ტყის გაჩეხვას. ახლა ჩვენს სოფელშიც მალე შემოვა ბუნებრივი აირი, მაგრამ მაინც საჭირო ტყეს მივხედოთ, გავაშენიანოთ, ახალი ხეებით შევავსოთ. ძალიან მინდა საკრებულოს თითოეულ **დეპუტატს** გული შესტკიოდეს იმ ამომრჩეველზე, თითოეულ ოჯახზე, **რომელმაც მას ხმა მისცა.**

დალი ქარსაულიძე – *ინდმეწარმე:* - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება ყოველთვის საპასუხისმგებლოა თითოეული ამომრჩევლისათვის – შენი და შენი ოჯახის წევრების მომავალი უნდა ანდო ისეთ პიროვნებებს, რომლებიც გულთან ახლოს მიიტანენ მოსახლეობის საერთო გასაჭირს, თანდათანობით მოაგვარებენ იმ პრობლემატურ საკითხებს, რომლებიც წლების განმავლობაში მოსახლეობაში, თითოეულ დასახლებულ უბანსა თუ ქუჩაზეა. ვიცით, რომ წესრიგდება ქუჩები, სანიაღვრე არხები, თითქმის ყველა ქუჩაზე ხდება გარეგანათების მოწყობა, გვპირდებიან ქალაქში სასმელი წყლის ქსელების მთლიან შეცვლას, ინდივიდუალური მრიცხველების დაყენებას, რათა ყაირათიანად ვხარჯოთ სასმელი წყალი და ყველამ მოიხმაროს დანიშნულებისამებრ. მაგრამ, ამ საქმეს რომ იტყვიან, „მიყოლა“ სჭირდება. მერე რა, რომ სასმელი წყლის კომპანია კერძო კომპანიაა, ის ხომ ხალხს ემსახურება?! წინა წლებში იყო შემთხვევები, როცა დეპუტატობის კანდიდატებს იმ პიროვნებების გათვალისწინებით ვაძლევდი ხმას, რომლებიც მოსახლეობაში ავტორიტეტით სარგებლობდნენ, შემდეგში კი აღმოჩნდებოდა, რომ სწორედ ის პიროვნება არ ხდებოდა არც დეპუტატი და არც ხელმძღვანელ პოსტზე ირჩევდნენ შემდეგში, არადა, ვისი იმედიც გაქვს, რომ ხალხს, თავის ამომრჩეველს უერთგულებს, ის უკვე იმედად აღარ გყავს.

ჩემი დიდი სურვილია, სათავეში ისეთი პიროვნებები მოვიდნენ, ვინც მართლა **უპატრონებს რაიონს, ქალაქს, თითოეულ სოფელს**. გაკეთდა ბევრი რამ, მაგრამ გასაკეთებელიც დახვდებათ მათ. არ მინდა ჩემი ქალაქის ქუჩების ქვეითადმოსიარულეთა ბილიკები ასე დანგრეული იყოს, თუნდაც ავიღოთ ერეკლე II-ის ქუჩის ცენტრის ზედა ნაწილში. არ მინდა ამდენი უპატრონო და მაწანწალა ძაღლი აშინებდეს ადამიანებს. მათ პატრონი ჰყავთ, უბრალოდ, უმეთვალყურეოდ არიან. იქნებ შეიმუშაოს ქალაქის მომავალმა ხელმძღვანელობამ ისეთი "კანონი", რომელიც "დასჯის" ასეთ პატრონებს?! საკითხები სხვაც ბევრი აწუხებს მოსახლეობას. უბრალოდ, **გულშემატკივრობა, უდალატობა სჯირდება ჩვენს ხალხს, იმ ნდობის გამართლება, რასაც ჩვენ მათ მიმართ გამოვიჩენთ.**

ალექსანდრე მღვდლიშვილი – *ინდმეწარმე:* - ეკონომიკურმა გაჭირვებამ ბევრი ადამიანი სავაჭროდ ქუჩაში გამოიყვანა. ვდგავართ ქარსა და წვიმაში, მზესა და თოვლში. იმედით შევყურებდით მთავრობის შეცვლას, ახალი ხელისუფლების მოსვლას როგორც ქვეყანაში, ისე ჩვენს რაიონში, სადაც შეგვეძლო მომხმარებელს, კლიენტს ისე მოვმსახურებოდით, რომ "ადამიანური" პირობები გვქონოდა და უხერხულობა არ გვეგრძნო. მე ჩემი გასაჭირი დაგანახეთ, სწორედ აქედან ვიწყებ, რადგან ჩემს მიერ ნდობაგამოცხადებული ადამიანი ჩემითაც უნდა დაინტერესდეს და ზოგჯერ "ხელჩართული ბრძოლაც" გამართოს თავისი ამომრჩევლისათვის. მთავრობამ ზრუნვა გლეხის, ფერმერისთვის დაიწყო, კარგია, მაგრამ ჩემმა არჩეულმა **რაიონის ხელმძღვანელობამ** თითოეული ოჯახისათვის, თითოეული მოქალაქისათვის უნდა იზრუნოს. **ფურადღებიანი, საქმიანი, პრინციპული, ჰუმანური, თავისი ქალაქის, სოფლის გულშემატკივარი მინდა იყოს ჩემს მიერ არჩეული ადგილობრივი ხელმძღვანელობა**. ასეთები კი, მადლობა უფალს, ბევრი გვყავს, მთავარია, თავად მოინდომონ დეპუტატობის კანდიდატობა.

თეა თედიაშვილი – *მუსიკის მასწავლებელი:* - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ისეთი კამპანიაა, რომც არ გაინტერესებდეს არაფერი, ბოლოს მაინც გძლევს შენი მოქალაქეობრივი ვალი – ვის უნდა მისცე შანსი თავისი უნარის გამომჟღავნების, ვის უნდა ანდო მომავლის საქმე?! რა თქმა უნდა, **პატრიოტ კაცს, ვისაც საგარეჯო, თავისი ქალაქი, თავისი სოფელი უყვარს, ვისაც შეუძლია დაინახოს პრობლემა და შეძლოს ბოლომდე მისი მოგვარება.** ის არ უნდა გაეგიჯნოს თავის თანამოქალაქეებს, უნდა იცხოვროს ისე, როგორც მოითხოვს მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ადამიანების ყოველდღიურობა. იყოს პრინციპული, თავისი საქმის ერთგული და თავისი თანამოქალაქეები და თანასოფლელები მას ისე იღებდნენ, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს. ე.ი. **მან ნდობა და სიყვარული უნდა დაიმსახუროს თავის ხალხში, მათში, ვინც ხმა მისცა და ანდო ქალაქის თუ სოფლის გეგმა.**

ძვირფასო მკითხველო, ველით თქვენს გამოხმაურებებს!

ეკითხეთ

თქვენ რას ფიქრობთ?!

სკვერი, თუ...

2012 წლის ზაფხულიდან საგარეჯოს ცენტრში (ყოფილი ბანკის, შემდეგ ყოფილი პროკურატურის, შემდეგ პარტია "ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი ოფისის, ბოლოს კი კერძო მფლობელობაში არსებული შენობა) შემოღობილი მიწის პატარა ნაკვეთი ორი წელიწადი ხდება შემოღობილია უბრალო მესერით და ამ ორ წელიწადში ნაგამსაყრელად იქცა. გამვლელ-გამომვლელს, ყველას-ყველას აინტერესებს სამომავლოდ რა დანიშნულების იქნება ეს ადგილი. ჩვენი გაზეთის რამდენიმე აქტიურ მკითხველს ჩვენ კითხვით მივმართეთ – რა შეიძლება გაკეთდეს ამ ადგილას?

აი, პასუხებიც:

უშანგი ჩაფიძე – საგარეჯოელი: – ეს ისეთი ადგილია, რომელიც გააერთიანებს მეორე მხარეს არსებულ პარკს და ერთმთლიანობაში მოგვცემს მშვენიერ დასასვენებელ და გასართობ ადგილსაც და მოუხდება კიდეც სახალხო თეატრისა და ქალაქის გამგეობის ადმინისტრაციული შენობების ერთობლიობას. ეს იქნება როგორც პენსიონერთა თავშეყრის, ასევე, დედებისა და ბავშვებისათვის განკუთვნილი ადგილი. ოღონდ, აქ ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ არც დასასვენებელი სკამები დაიკარგოს და არც ადვილად დაიმტვრეს. ან, იქნებ ვიფიქროთ და აქ ჭადრაკის სახლი ავაშენოთ, თუნდაც პატარა, კოპწია, ლამაზი. ჩვენ გვყავს მოჭადრაკეები, რომლებიც საქართველოს მასშტაბით ცნობილნი არიან თავიანთი ნიჭიერებით. რომელ რაიონს ჰყავს ნანი უნაფქოშვილის სადარი მოჭადრაკე?! მათ კვალს ის თაობაც მიჰყვება, რომლებიც წარმატებებზე წარმატებებს აღწევენ. ქალაქში სამი სექციაა, სამივე მისთვის შეუფერებველ პირობებშია. ხომ არ სჯობდა, ერთ შენობაში შესულიყო ეს სექციები. არც სხვა რაიონებს ჰყავთ დათო გურგენიძისნაირი მსოფლიო ჩემპიონი საჭადრაკო ეტიუდებში. მოვიფიქროთ, გადავწყვიტოთ.



ლალი ალიბეგაშვილი – საგარეჯოელი:- ყველა შემთხვევაში აქ პატარა სკვერის, პარკის მოწყობა სჯობია. თუ შიგ თუნდაც ერთი სახის გასართობს დადგამენ პატარებისთვის, ეს ხომ ძალზედ კარგი იქნება.

დალი დარისპანაშვილი – საგარეჯოელი:- აქ ეკლესიის აშენებას აპირებდნენ, მაგრამ ეკლესიისთვის პატარა ადგილია. თანაც ეკლესია მყუდრო, წყნარ ადგილზე სჯობია აშენდეს. ისევ ჩვენი პატარებისთვის ვიზრუნოთ, გასართობი ადგილი არსად აქვთ საგარეჯოელ პატარებს და მართლაც რომ კარგი იქნება.

ნანა ტაველიშვილი – ბადიაურის რწმუნებული: - კარგი იქნება თუ ამ ადგილას სკვერი გაშენდება, დაირგვება ხეები, დამონტაჟდება სკამები, ზაფხულში ნაყინი და გაზიანი წყლები იქნება, ბავშვებს მიეცემათ გართობის საშუალება.

მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებები

„სიყვარული, ძალსა შენსა...“

ღვთით ნაბოძები ნიჭი

სიყვარული უბერებელი

ყოველივე ლამაზი და საუკეთესო სიყვარულით კეთდება დედამიწაზე და ერთხელ თუ შეგვიყვარდა, უმალ დავრწმუნდებით, რომ მას დიდი ძალა აქვს, რომ სიყვარული ისეთივე მარადიული და უკვდავია, როგორც გალაქტიკა.

სიყვარული ღმერთისგან ნაბოძები უდიდესი გრძნობაა დედამიწაზე. მის წინაშე ყველა უძლურია – დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი. დაუპატიჟებლად გეწვევა და დაგიმონებს, ვედარსად გაექცევი. 15 წლის ვიყავი, როცა ჩემი მომავალი მეუღლე ჯემალ ბურჯანაძე შემიყვარდა. ეს სიყვარული ორმხრივი გამოდგა, თანაც ერთად ვსწავლობდით, სასწავლებლის დამთავრებისთანავე დავქორწინდით. მას შემდეგ 55 წელი გავიდა და ჩვენი სიყვარული არც ჩამქრალა, არც განელებულა, მითუმეტეს 8 წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან და მე ის ისევე მიყვარს, როგორც მის სიცოცხლეში, სხვანაირად ვერც წარმომედგინა ცხოვრება, ერთ საქმეს ვემსახურებოდით. ჩვენი საქმისთვის არასოდეს გვიღალატია. ამ წლების განმავლობაში ბევრი გადასატანი გადავიტანეთ, მაგრამ ფარხმალი არ დაგვიყრია, დღემდე ჩვენი მხრებით მოვიტანეთ სამუსიკო სკოლის არსებობა.

დღესაც, როგორც გასულ წლებში, ისეთივე ენერგიით, ენთუზიაზმით, პასუხისმგებლობით და სიყვარულით ვემსახურები ჩემს პატარებს. თითოეული ჩემი მოსწავლე ჩემთვის სიცოცხლის გახანგრძლივებაა. ბავშვობიდან მეუბნებოდნენ – შენ პედაგოგად ხარ დაბადებულიო და მართლაც, ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, როგორც არ უნდა გაბრაზებული ან დაღლილი ვიყო, ყველაფერი მავიწყდება როცა მათ გვერდით ვარ, როცა მათი ალალი თვალები მიყურებენ და ჩემგან ელოდებიან ჩასწვდნენ მუსიკის საიდუმლოებას. მე მათ წინაშე ყოველთვის უშურველი ვარ. ასეთივე იყო ჩემი მეუღლეც: უღალატო, უაღრესად პატიოსანი, უნიჭიერესი თავისი საქმის, ხალასი იუმორით სავსე, ჩვენი რაიონის კოლორიტი, ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა – მეგობრები, ნათესავები, მოსწავლეები, მათი მშობლები, თანამშრომლები, ყველა, ვინც კი იცნობდა. ერთ რამედ ღირდა მოსმენა მისი. ის რომ “დაისის” შესავალს დაუკრავდა, ყველა ფეხზე ადგებოდა და ცრემლიანი თვალებით, ტაშით დააჯილდოებდა. სხვათაშორის სულ პირველად, ანუ თავიდან მისმა უზადო ნიჭმა, განსხვავებულმა მუსიკალურმა ბგერამ მომხიბლა და სამუდამოდ დამატყვევა. უყვარდა ჩვენი ერთადერთი ქალიშვილი ლია ბურჯანაძე, ვის გენებშიც უხვად არის თავმოყრილი მამის ნიჭი, სიკეთე, კაცთმოყვარეობა. ლიამაც ჯერ რუსული ფილოლოგიური დაამთავრა, მაგრამ ისევ დედ-მამის კვალს გაჰყვა, დაამთავრა მუსიკალური და სამუსიკო სკოლაში დაიწყო მუშაობა. შემდეგში კი ჩაიბარა მამის მოვალეობა და დღესაც სრული პასუხისმგებლობით განაგრძობს მუშაობას.

სიყვარულით შევქმენით ოჯახი, სიყვარულით ვზრდიდით ჩვენს შვილს, გვიყვარდა და გვიყვარს ადამიანები და არამარტო ადამიანები. მიყვარს ბუნება, ცხოველები, ყვავილები, მიყვარს ყველანაირი სილამაზე, მიხარია სხვისი ბედნიერება, ადამიანებში ყოველთვის დადებით თვისებას ვეძებ, არ შემიძლია ადამიანის შეძულება – ეს ყველაფერი სიყვარულია.

სიყვარული ერთგვარი ნიჭია ღმერთისგან ნაბოძები და არ მეგულება ადამიანი თუნდაც ბოროტი, ავაზაკი, რომ სიყვარული არ გამოეცადოს.

დიახ, დღესაც მიყვარს ჩემი მეუღლე, მიყვარს ჩემი შვილი, შვილიშვილები, შვილთაშვილები, სიძეები, რძალი, ნათესავები, მეზობლები, მეგობრები, თანამშრომლები, ჩემი აღსაზრდელები, ყველა, ყველა სულიერი თუ უსულო, რასაც კი ვხედავ თვალით. ყველას გისურვებთ იმ სიხარულს და ბედნიერებას, რასაც სიყვარული ჰქვია. დაე, მთელი ცხოვრება სიყვარულით გევლოთ დედამიწაზე.

ნელი ყანჩაშვილი,
საგარეჯოს ჯ. ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგი

რა არის ბედნიერება?

“კაცის მომაკვდინებელი სენია”. როცა “გველის მჭამელში” მინდია ეზიარა წუთისოფლის ცოდნას, გაიგო ბუნების ენა, უბედნიერეს ადამიანად იგრძნო თავი, მაგრამ ისევ კაცობრივმა ბუნებამ დაღუპა და შესაბამისად, დაკარგა ბედნიერებაც.

თუ შენ ქუჩაში გახვალ კმაყოფილი შენი ცხოვრებით, დადიხარ გალაღებული “ცა ქუდად არ მიგაჩნია და დედამიწა ქალამნად”, იმ დროს, როს შენი მოძმე სასოწარკვეთილია მძიმე ყოფისაგან, მაშინ შენ, ადამიანო, ასე მგონია იმ გოდერძი ჩოხელის ტრამალის მგელს ემსგავსები, ადამიანად რომ აქცია მწერალმა. ისინი კი ისეთივე სასტიკნი და დაუნდობელნი დარჩნენ, როგორიც მათი ბუნება იყო. ეს გაუცხოვება და სისასტიკე აწუხებდა ყველა თაობას და ასე აწუხებს დღევანდელობასაც. მადლობა ღმერთს, რომ გვყავს უწმინდესი, რომელიც თვით სიკეთეს და სათნოებას განასახიერებს, გვასწავლის ადამიანებს ადამიანად ყოფნის სიხარულის განცდას, გვიკვალავს იმ გზას, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს. ეს მიმაჩნია დიდ ბედნიერებად.

და მაინც მიმაჩნია, რომ ბედნიერების ცნება მეტად პირობითია და სუბიექტური. ერთი რამ, რაც ყველა მშობლისთვის ერთნაირად აღსაქმელია, შვილების სიყვარულია. სიყვარული კი ყოველგვარი ბედნიერების საფუძველთა საფუძველია. ვაჟამ ერთხელ დაალაპარაკა უსიტყვო და ცივი კლდე, მხოლოდ ერთხელ ამოაღებინა ხმა და ეს განუმეორებელი სიტყვები ათქმევინა: “გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი.” მაშ, გვიყვარდეს ერთმანეთი და ვიყოთ ბედნიერნი!

ნელი ქაიხოსროშვილი
საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი.

ხანმოკლეა წუთისოფელი ... მეტად ხანმოკლე. “წუთისოფელი რა არის, აგორებული ქვა არი, რა წამსაც დავიბადებით, იქვე სიკვდილი მზად არი...” – უთქვამს ბრძენ ქართველს და თუ ეს ცხოვრება “ჩიტივით” უნდა გაგვიფრინდეს, რატომ არ ვფიქრობთ, რომ “დროში არსებობის ტკივილი” იმ ბედნიერი წამებით გავინელოთ, რასაც ცხოვრება პატარ-პატარა სიურპრიზებით გვთავაზობს და რასაც ზოგჯერ ძალზე პროზაულად აღვიქვამთ. დრო ხომ ერთდროულად ხანმოკლეც არის და ხანგრძლივიც. ბედნიერებისათვის ხანმოკლეა, სულის ტკივილისათვის (რაც დამეთანხმებით, ფიზიკურ ტკივილზე უარესია), კი – მეტად ხანგრძლივი. და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ უნდა გამოგლიჯო ცხოვრებას ბედნიერება, რათა სიცოცხლით ტკბობის სიამოვნება განიცადო. ის წამები უნდა შეაგროვო წუთებად, რათა გულნაკლული არ წახვიდე ამ ქვეყნიდან.

ადამიანურ “დიდ საქმეებსაც” ეჭიდებიან და ყოფით წვრილმანებსაც დიდ დროს უთმობენ. ზოგჯერ მებადება კითხვა, როდის არიან ბედნიერნი ისინი, როცა ე.წ. “დიდ საქმეს” ბოლომდე მიიყვანენ, თუ როცა წვრილმანებით ატკიებულ თავს იყუჩებენ? თუ გავითვალისწინებთ ჰამლეტის სიტყვებს, რომ დიდი საქმეების კეთება სულდიდ ადამიანთა ხვედრია და ჩვენ ვთვლით, რომ “სრულქმნილი არსებანი” ვართ, მაშინ გამოდის, ბედნიერება ძალიან ხანმოკლე და იშვიათი ყოფილა, შესაბამისად – ტკბობაც ხანმოკლე. მაშინ, რატომ ვხარჯავთ წვრილმანებზე ამდენ დროს და ენერგიას, რატომ ვიტანჯავთ თავს ყოფითი წვრილმანებით? იქნებ იმიტომ, რომ ჩვენ ვთვლით ჩვენს თავს სრულყოფილებად და სინამდვილეში სულაც არ არის ასე? “რას მიქვიან პირადი მწუხარება, მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება” – ამბობს აკაკი.

მეჩვენება, რომ ადამიანს ხორციელ წვრილმანებს მიჯაჭვულს “ჭიანჭველური ანგარიშები”აშფოთებს (ანუ 10-ჯერ მეტ ტვირთს იკიდებს ზურგზე) და ხშირად თავი ვერ დაუღწევია მისგან. მაშ, მისთვის ბედნიერება სწორედ ისაა, რომ რაც შეიძლება მეტი იტვირთოს და თუ გავა ბოლომდე, მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, რაც იშვიათობაა, თუ არა და იაროს იმ იმედით, თუ დღეს არა, ხვალ ხომ განვიცდი ბედნიერებასაო.

ბრძენი გვასწავლის კმაყოფილების განცდაც ბედნიერებაა, მაგრამ მთავარი ისაა, რითია ეს კმაყოფილება მიღებული. და თანაც კმაყოფილებაზეა აქცენტი თუ თვითკმაყოფილებაზე, რაც, ილიას აზრით,

„სიყვარული ღმერთისგან არს“

მაინც რა არის სიყვარული? ამ კითხვას დღემდე ვერავინ უპასუხა ამომწურავად. ალბათ იმიტომაც, რომ სიყვარული ღვთაებრივი წარმოშობისაა. ისიც ღმერთივით გამოუთქმელია და შეუცნობელი. ისევე უსასრულო და დაუსაბამო, როგორც უფალი. სიყვარულთანაა დაკავშირებული ყოველივე წმინდა, ფაქიზი, საოცნებო, შეუბღალავი, მიუწვდომელი, არაჩვეულებრივი და განუმეორებელი, “ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი, მიუწვდომელი, როგორც ედემი.” ადამიანის ყოველდღიურობაში ფაქიზი ფერებით, ტკბილი ზმანებით შემოჭრილი ახალი აზრით, ჯერაც განუცდელი სიხარულით ავსებს არსებობას. სიყვარულია ძალა, ურომლისოდაც

“მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჭრის,
ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით უკვდავება,
თვით უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ”.

სიყვარულია დიადი გრძნობა, რომელმაც კაცთა მოდგმა უნდა გადაარჩინოს. იგი “ღმერთისგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმერთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი”, ღმერთი კი “ნათელ არს და ბნელი არა არს მას თანა არც ერთ”.

თაკო ქურხული,
საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე

იამზე მაჭარაშვილი

ნინოწმინდის მზეს

მზეო, სინათლის დედა გიწოდეს
ვფიქრობ და ვერ ვწყვეტ მე რა გიწოდო
მინდა, რომ ღრუბლებს შენთან გამოვყვე
და შენი თბილი სხივები ვკოცნო.
მინდა, რომ ვიყო ლაღი არწივი
და შენს სხივებში შევკრა კამარა
დავქროდე ცაში შენგან გამთბარი
სხვა რა ვინატრო ესეცა კმარა.
როდესაც ცაზე გამობრწყინდები,
ყველას ხალისით ევსება გული,
მზეო, შენა ხარ ჩემი იმედი
გთხოვ, დაღონებულს გამითბო სული,
მინდა, თან მდევდეს მე შენი სითბო.
შენა ხარ ჩვენი სიცოცხლის წყარო,
მინდა, რომ ვიყო მე შენი სხივი
შენ შემოგნატრი, შენითა ვხარობ.
მზეო, დედა ხარ დედამიწისა,
მზეო, მაღლით კი უხდები ცასა
ცივ ზამთრის შემდეგ გამობრწყინდები,
გაახალისებ მთასა და ბარსა.
ციური ცეცხლით აგიზგიზებულს
პირის დაბანა გიყვარს წვიმაში,
შვიდფრად გაჰფანტავ შენს ათინათებს
და ცისარტყელა ბრიალებს ცაში.

რატომ არ უნდა ვიცოდეთ?!

გიცდია ჩამავალი მზის სხივების ფონზე, ან გამთენიისას, გაჰყოლოდი ტყის ბილიკებს, მინდვრებს, ფეხშიშველს გაგვევლო ნოტიო მიწა, მტვრიანი დღის შემდეგ წვიმასთან ერთად მოვლენოდი ქუჩებს და უფრო ძალუმად შეგეგრძნო სიყვარული. თუმცა საჭირო არაა შორს დაუწყო ძებნა, სიყვარული ხომ შენივე გულიდან იწყება, გული კი სანამ ცოცხლობ მუდამ შენთანაა... წარმოუდგენელია სამყაროში, სადაც ბალახი ასეთი მწვანეა, ყვავილები ფერადი და არომატული, სადაც ღამღამობით ვარსკვლავები ოქროსფრად ამკობენ მთვლემარე ზეცას, ჰო, ასეთ სამყაროში შეუძლებელია ცხოვრობდე და სიყვარულით არ იმსჭვალებოდე. სანამ გიყვარს არ ბერდები თურმე. მე კი მინდა მუდამ უბერებელი ვიყო. ალბათ შენც, ხო?? ჰოდა ვიყოთ, რა გვიშლის ხელს. დღეს კი, როცა ნუშები, ტყემლები და ატმები ათოვენ მიწას, ზამთრის შემდეგ ასე უჩვეულო და უცხო არომატით რომ გაჯერდა ჰაერი, ჩემთან ერთად მთელი სამყარო მინდა იღიმოდეთ. სიყვარულის ნაპერწკლები გიკრთოდეთ თვალებში, მარად ჩაუქრობელი მოგიზგიზე ციცინათელები. სიყვარულია გულწრფელად ნათქვამი „მიყვრხარ“, უთქმელად გაპარებული თბილი მზერა, მწყურვალ ველებზე წვიმის უეცარი მოვარდნა, პირჯვარი, რომელსაც დედა მწერს სახლიდან გასვლამდე და ძაღლის მადლიერებით აღსავსე თვალები ხმელი პურის მიწვდისას. დრო გადის, წრფელი გრძნობები კი არ იცვლება. ისევ დაღამდება. ისევ დავიძინებთ. მეც, შენც, სხვებიც. გათენდება. ზაფხულში უფრო ადრე, ზა-

მთარში გვიან... ასე გაგრძელდება წლები. შემოდგომით ყვითელ ფოთლებს ავაშრიალებთ ფეხებით, ზამთარში ლამაზ ანგელოზებს დავხატავთ თოვლში. გაზაფხულზე ერთად წავალთ იების საკრეფად. მეც, შენც, სხვებიც. ზაფხულში? ოო, ცხელ ზაფხულს ტყე-ღრეში მოვძებნით გრილ ადგილს და დავლევთ, ვიმღერებთ და ვიწანწალებთ გზააბნეული მგზავრებივით. მზის ჩასვლას ვნახავთ ყოველდღე და მე ისევ დავმალავ მშვენიერების ხილვით გამოწვეულ ცრემლებს. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ მართლა არ ჩაესვენება ჩემი, შენი და სხვათა მზეებიც. ოღონდ, არ მინდა არც მე, არც შენ და არც სხვებს გული დაგვწყდეს. რის გამო? რომ ვერ მოვასწარით გრძნობების ბოლომდე გამოხატვა. რატომ არ უნდა ვიცოდეთ ადამიანებმა, რომ ჩვენ, ყველას უფრო მეტად გვიყვარს ერთმანეთი ვიდრე გვგონია???

ანანო ქვლივიძე,
სტუდენტი

ერთხელ კიდევ სასმელი წყლის ნაკლებობაზე

ქალაქი და სასმელი წყალი

ქალაქ საგარეჯოს ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული აქ არსებული დიდი დებეტის მქონე მთის წყაროების არსებობასთან. ქალაქს წინა საუკუნეებში სახელად "თვალი" ერქვა, ეს სწორედ იმ მთის წყაროებით იყო განპირობებული, რომლებიც ასე უხვად მოედინებოდა ბუნებრივ ტყე-პარკ "სათავიდან".

სწორედ ამ მთის წყაროების სიუხვის გამო აძლევს ტოპონიმ "თვალს" ახსნას დიდი ქართველი მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი თავის "სიტყვისკონაში".

"თვალი ესე არს სახედველი ცხოველთა, ხოლო "თვალი" ეწოდების ქვათა პატიოსანთა, აგრეთვე თვალად ითქმის წყაროთა გამოსადინებელი..."

როგორც სულხან-საბა ორბელიანის ახსნა გვიმტკიცებს, საგარეჯოს ძველი სახელწოდება წარმომდგარა ორი კომპონენტისაგან, როგორც სიმბოლო და სინონიმი ამ დასახლების ბუნებრივი სილამაზისა და მთის წყაროთა უხვი გამოსადინებლისაგან.

სასმელი და სარწყავი წყლის სიუხვე, აგრეთვე გარეგანი ლადშაფტის სილამაზე ყველა დროში და ყველა ეპოქაში იმის გარანტიას იძლეოდა, რომ მიუხედავად ძნელბედობებისა, საგარეჯოში არ შეწყვეტილიყო სიცოცხლე და საგარეჯო ერთ-ერთი ულამაზესი დასახლება ყოფილიყო.

საგარეჯო განსაკუთრებით ლამაზი იყო გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში, როდესაც საგარეჯოს ქუჩა-ორდობეებში თავისი ბუნებრივი დინებით მოჩუხჩუხებდა ზდაპრული სილამაზის ნაკადულები. მიუხედავად იმისა, რომ საგარეჯოში XX საუკუნის დასაწყისამდე არ არსებობდა საინჟინრო წყალსადენი, მოსახლეობა პირდაპირ რიყეებიდან იღებდა სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალს და შემთხვევა არ ყოფილა ჯანმრთელობისათვის საშიშ ეპიდემიას ეჩინოს თავი.

მხოლოდ 1914-1917 წლებში ცნობილმა სწავლულმა ინჟინერმა, საზოგადო მოღვაწემ გრიგოლ ქურდიანმა, კახეთის მშენებარე რკინიგზის სამმართველოს დაკვეთით, საგარეჯოს წყლის "სათავის" ტყეში, 5 მეტრის სიღრმეზე თიხის ხსნარში შეზელილი ჩალით არსებული წყალგაუმტარი თიხოვანი ფენა გააფართოვა, ხევის მდინარეების პერპენდიკულარული 40 მეტრის სიგრძის წყალშემკრები გალერეა მოაწყო და შეგროვილი წყლის ნაწილი (წამში 24-25 ლიტრის რაოდენობით) რკინიგზის სადგურისკენ მიმართა. ამ წყლის ხარჯზე სოფელ საგარეჯოში, 12 უბანი მოეწყო, 12 ე.წ. "ნავის წყარო" მოსახლეობის და საოჯახო პირუტყვის საჭიროებისათვის.

ამავე გალერეის მიერ მოცემული წყლის დანარჩენი ნაწილი და მის გარეშე გამომავალი წყაროები (20-24 ლიტრის რაოდენობის წამში) მან "სათავის" ტყეში დეკორაციული ჰიდრონაგებობებითა და ხევისქვეშა გვირაბით "თვალთხევი" მარცხენა ნაპირზე გამოიყვანა. ამ წყლის მეშვეობით მუშაობდა წისქვილები, ხოლო ზაფხულის პერიოდში წყალი იმდენად მატულობდა (წამში 140-160 ლიტრი), რომ მოსახლეობის მოთხოვნილებას სრულად აკმაყოფილებდა საკარმიდამო ნაკვეთების რწყვით. საგარეჯოს "სათავეში" გამომავალ წყაროებს ემატებოდა მაისის თვეში "მახიას" მიდამოებში გამომავალი წყაროებიც.

სოფლის პირობებში "სათავის" წყალი სრულიად აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას, როგორც სასმელი წყლით, ასევე სარწყავი წყლით, ამიტომ მაშინ ასე მწვავედ არ იდგა საკითხი წყალსადენის გაფართოებისათვის.

საგარეჯოს მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა 1962 წლის შემდეგ, რაც საგარეჯოს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. საგარეჯოს სრულიად შეეცვალა სახე, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დროს, რაც 1961 წელს სამგორწყალმშენის №5 სამმართველომ (სამმართველოს უფროსი – კონსტანტინე თულაშვილი) ფართო მასშტაბის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები წამოიწყო მინდორ "ნასადგომარში". ერთდროულად მიმდინარეობდა დიდი მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები, რაც დიდი რაოდენობის სასმელ და ტექნიკურ წყალს მოითხოვდა.

1955 წლიდან "სამტრესტის" ხელმძღვანელობამ საგარეჯოში ახლად აშენებული დვინის ქარხნისთვის საჭირო წყლის რაოდენობის "სათავიდან " დამოუკიდებლად მიღებისათვის სათანადო საპროექტო ორგანოებს დაუკვეთა პროექტის შედგენა, მაგრამ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საპროექტო ორგანიზაციამ ჰიდროლოგიური საკვლევი სამუშაოები უხარისხოდ შეასრულა და ახალი "გალერეის" მშენებლობა გაითვალისწინა წინასწარი მონაცემების გაუთვალისწინებლად.

უფრო ლოგიკური იქნებოდა ახალი "გალერეის" მშენებლობა უფრო ქვემოთ დაწყებულიყო, ამით ტყეც გადარჩებოდა განადგურებისგან და ძველ "გალერეასაც" ზიანი არ მიადგებოდა.

მაშინ საქმეში ჩახედული პირები, ჯერ ისევ ცოცხლები იყვნენ და პროტესტს გამოთქვამდნენ "სათავეში" ახალი " გალერეის" მსენებლობის გამო, მაგრამ მაშინდელი საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელის გიორგი ნადაშვილის დაჟინების გამო არ გაითვალისწინეს საქმეში ჩახედული პირების რჩევები და მშენებლებს მცდარი მითითებები მისცეს, "გალერეის" თხრა განეგრძოთ. მშენებლები დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ, მათ 9 მეტრის სიღრმეზე განაგრძეს "გალერეის" თხრა, დიდძალი ტყე გაანადგურეს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, წყალი დაიკარგა, წყალმა "თვალთხევის" სიღრმეში იპოვა ახალი გზა და საგარეჯოში წყლის დეფიციტის საკითხი მწვავედ დადგა.

წყლის დებეტის გაზრდის უზრუნველყოფისათვის გამოიყო ახალი კომისია, რომელშიც შევიდნენ კომპეტენტური პირები. ახალმა კომისიამ დაადგინა, რომ ძველად არსებული "გალერეა" ახლა წამში იძლეოდა 12.5 ლიტრ წყალს, ხოლო ახალი და ძველი "გალერეები" ერთად არებული წამში 23.8 ლიტრ წყალს იძლეოდა, ე.ი. ახალმა "გალერეამ" წამში უჩვენა 11.3 ლიტრი. კომისიამ დაადგინა, რომ წარსულში ზამთრობით მიღებული წყლის რაოდენობას დააკლდა დაახლოებით წამში 20 ლიტრი.

არსებული წყლის დებეტი ნამდვილად ვერ დააკმაყოფილებდა ქალაქ საგარეჯოს მოსახლე-

დასასრული მე-6 გვ.

ქალაქი და სასმელი წყალი

პრობლემა, რომელიც ყოველდღიურობაშია

სასმელი წყალი _ ნომერ პირველი კვების პროდუქტი

თებერვლიდან იწყება ბუნებაში წყლის დებეტის კლება – ეს ბუნებრივიცაა, - იტყვიან. ახლოვდება ბუნებრივი პირობების, ბუნებრივი მოვლენების შეცვლის პროცესი, - მზადება გაზაფხულისთვის. ჩვენმა ყოველდღიურმა საზრუნავმა რაღაცნაირად დაგვაშორა ბუნებასთან. ვეღარ ვადევნებთ თვალყურს დროისა და მოვლენების ცვალებადობას და კატეგორიულად მოვითხოვთ – როგორ, რატომ არ არის წყალი? რატომ არ არის ? ბოლო ათწლეულებში ჩვენმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ უსულგულოებიც გაგვხადა – გაიჩეხა ტყე, აღარავინ ზრუნავს მის განაშენიანებაზე, მისი დანიშნულების გასიგრძე-განებაზე. და შედეგი, შედეგი როგორი გვაქვს? მავანი წყლის კლებას მის დღევანდელ მეპატრონეებს აბრალებს, მავანი თავად მოსახლეობის უყაირათიანობას, გაუმართავ ქსელებს, მაგრამ ყველაფერმა ერთად რომ მოიყარა თავი, ამასაც ვხედავთ.

***შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საგარეჯოს სერვის-ცენტრის მენეჯერის* ოთარ ჩალათაშვილის** მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სასმელი წყლის ნაკლებობას სწორედ ზამთრიდან გაზაფხულზე გარდამავალი პერიოდი იწვევს, თუმცა, გასულ წელს თუ წყლის დებეტი წამში 130 ლიტრი იყო, მიმდინარე წლის შესაბამის პერიოდში 20-25 ლიტრია. საერთოდ, სასმელი წყლით ჩვენი ქალაქის მოსახლეობის ნორმალურად მომარაგებისთვის კი წყლის დებეტი 1 წამში 45 ლიტრი წყალი უნდა მოეწოდებოდეს, ყოველდღიურად ქალაქის აბონენტთა 24 საათიანი მომარაგებისთვის 2 ათასი კუბური მეტრი წყალია საჭირო.

ქალაქში 3400 აბონენტია, მაგრამ აქედან 2200 აბონენტს ემსახურება აღნიშნული სერვის-ცენტრი. დანარჩენ აბონენტს კი მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ჭაბურღილები, მაგალითად, კოსტავას ქუჩაზე, საავადმყოფოს გვერდით მდებარე საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ აბონენტებს. საგარეჯოელებს ხუთი სათავე-ნაგებობა , რეზერვუარი ემსახურება, რომელთაგანაც ერთი "სათავეშია", ერთი პოლიციის ყოფილი შენობის ეზოში, ორი – ე.წ. "ჩანჩქერზე", ერთი – "გიგოს წყაროსთან" და მეექვსე - "ფერდოსუბანში" მდებარე, უმოქმედოა, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს უმოქმედო გახდა არასწორი ექსპლოატაციის გამო.

რეზერვუარების სასმელი წყლით შევსება ამჟამად ერთობ შენელებული ტემპით ხდება დებეტის ნაკლებობის გამო. რეზერვუარებიდან წყალს მართალია, გრაფიკის მიხედვით აწვდიან მოსახლეობას, მაგრამ გრაფიკით გათვალისწინებული დროის ხანგრძლივობა ზოგჯერ მცირდება - ისევ და ისევ დებეტის ნაკლებობის გამო. ასევე, სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება ხდება ცენტრალური ხაზებიდანაც, რომლებსაც აღნიშნული რეზერვუარებიდან აძლიერებენ.

აღნიშნული კომპანიის საგარეჯოს სერვის-ცენტრის მენეჯერის თქმით, ***აგვისტოდან დაიწყება სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების რეგილიტაცია და მთლიანი ქსელების ახლით შეცვლა, რომელმაც 6 მილიონ 452 ათასი ლარით დაფინანსება მოითხოვა. სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების და ქსელების რეგილიტაცია 18 თვეს გასტანს.***

სასმელი წყლის დებეტის შემცირებას უჩივის ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობაც. აიპ ***"საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის" დირექტორის მოადგილის* ხათუნა ჯანიაშვილის** ინფორმაციით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ტერიტორიაზე არსებული სათავე-ნაგებობები ამჟამად იწმინდება, ირეცხება, იქლორება. შემოტანილი აქვთ როგორც თხიერი, ასევე ქლორიანი კირი. ტერიტორიული ორგანოების სასმელი წყლის ქსელებს დღეისათვის სულ 48 კაცი ემსახურება. სულ ახლახანს კოჭბანშიც დაინიშნა სასმელი წყლის გრაფიკის მარეგულირებელი და ზედამხედველი პირი.

სასმელი წყლის ხარისხი, ვარგისიანობა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს. ასე, მაგალითად, წყაროებსა და უკვე ქსელებში გაშვებული წყლის კოლ-ინდექსი მერყეობს 3-დან 64-მდე, ისე, ნორმად დაშვებულია 3, ჭაბურღილებზე კი კოლ-ინდექსი 10-ია დასაშვები. ჟანგვადობა -3. კოლ-ინდექსის მომატება ხდება შერეული დაბინძურებული წყლების შედეგად, ან თავად მიწიდან ამოსული წყაროა უკვე დაბინძურებული. ამიტომ საჭიროა, წყლის სათავე – ნაგებობები, რეზერვუარები დავიცვათ დაბინძურებისგან, ისე მოვაწყოთ ისინი, რომ შიგ არ მოხვდეს დაბინძურებული წყალი, საყოფაცხოვრებო ნაგავი, ტყის ნაშალი, ხის ფოთლები, ტოტები.

სადღეისოდ, ბუნებაში არსებული კანონზომიერებისდა მიხედვით, საკმაოდ დაბალია სასმელი წყლის დებეტი. დაიკლო იმ წყაროებმაც, რომლებიც არასოდეს იკლებდა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ყინვიანი ზამთარი, მაგრამ უფრო მეტად კი ტყის უკანონო გაჩეხვას უკავშირდება წყლის დებეტის კლება.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანო კოჭბაანში შედარებით ნორმალური სიტუაციაა წყლის ხარისხის მიხედვით, გომბორში მოწესრიგებული სათავე-ნაგებობა, აქაცაა რემონტია ჩატარებული. წესის მიხედვით რეზერვუარს ნორმალურად უნდა ჰქონდეს ჩამკეტ-გამშვები ურდული დაყენებული. აქ დაყენებულია ჩამკეტ-გამშვები ურდული, მაგრამ ისეთ სიმაღლეზე, რომ რეზერვუარის გაწმენდისას, ნარეცხი წყლების ბოლომდე გადმოღვრა ვერ ხერხდება. უჯარმის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება ხდება ხაშმის სათავე-ნაგებობიდან. აქ ერთ პერიოდში წყალს ერეოდა მღვრიე წყალი და უჯარმას და ხაშმს სასმელი წყლის დეფიციტი ჰქონდა. ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, გაირეცხა სათავე-ნაგებობა, დაიქლორა, წყალი დაიწმინდა, მაგრამ როგორც ყველგან, აქაც წყლის დებეტმა იკლო. პალდოსთან არსებული სარწყავი სისტემის ერთ მონაკვეთზე, რომლითაც წყალი თბილისის ზღვას მიეწოდება, არის გვირაბი – დახურული არხი. ახლა იქ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ცარიელ გვირაბში, ერთ ადგილას აღმოჩნდა მილით მიწიდან ამომავალი წყარო, როგორც ჩანს, ეს წყალი ემსახურებოდა სარწყავი სისტემის მშენებლობაზე დასაქმებულ ხალხს. დაგვიკავშირდა უჯარმის რწმუნებული, ჩვენ შევამოწმეთ ეს წყალი და ანალიზების შემდეგ აღმოჩნდა, რომ წყალი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, როგორც კვების პროდუქტი. მისი კოლ-ინდექსი 3-ია. ასეთი მაჩვენებელი თითქმის არც ერთ წყაროს არა აქვს ჩვენს ტერიტორიაზე. ახლა საუბარია იმაზე, რომ ეს წყალი მილებით როგორმე მოსახლეობას მიეწოდოს. ალბათ აქ შესაბამისი სამშაოებიც დაიწყება.

პატარძეულში არსებულ ჭაბურღილებს მალე „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ოთხი ჭაბურღილი დაემატება და მოიხსნება აქაც სასმელი წყლის პრობლემა. რაც შეეხება წყაროსთავს, აქ ე.წ. "ბებერი წყლებიდან" ხდება მოსახლეობის მომარაგება. ახლა დებეტი დაბალია. ახლახანს აქ "ბებერი წყლის" მიდამოებში აღმოაჩინეს წყაროს წყალი, რომელიც შეიძლება სასმელად გამოყენება ნამდვილად შესაძლებელია.

რაც შეეხება აზერბაიჯანული სექტორის სოფლებს, აქ ჩვენს მიერ შესწავლილ ჭაბურღილებში წყალი სახელმწიფო სტანდარტს შეესაბამება.

ჩვენი მუნიციპალიტეტის დანარჩენ, ქვემო ზონის ტერიტორიულ ორგანოებშიც იგივე მდგომარეობაა, სასმელი წყლის დებეტმა იკლო, მოსახლეობა ვერ კმაყოფილდება სასმელი წყლის საჭირო რაოდენობით, მაგრამ მალე გაზაფხულის წვიმები დაიწყება, რეზერვუარებში, სათავე-ნაგებობებში გაჩნდება წყალი. გასაკვირია მართლაც, რომ ისეთი სოფელი, რომელიც მთელს რესპუბლიკაში ცნობილია წყალუხვობით – თოხლიაური, ახლა ამ გაზაფხულის დასაწყისს, მარტიდან უჩივის წყლის ნაკლებობას. ეს მართლაც გასაკვირია. ამასთან, უდაბნოს მოსახლეობაც თოხლიაურიდან მარაგდება, მართალია, ეს მაგისტრალი სულ დაზიანებებშია სიძველის გამო, მაგრამ რაღაცნაირად ხერხდება ხოლმე წყლის მიწოდება. ახლა უდაბნოში ახალი წყალსადენი გაკეთდება და აქაური მოსახლეობაც ამოისუნთქებს ცოტა.

მართალია, სასმელი წყლის დებეტის სიმცირის გამო, იძულებულები ვხდებით მოსახლეობას გრაფიკით მივაწოდოთ წყალი, მაგრამ პარალელურად ირეცხება, იქლორება სათავე-ნაგებობები, რეზერვუარები, წყლის მაგისტრალური ხაზები, ვემზადებით გაზაფხული-ზაფხულის სეზონისათვის.

საუბარი ჩაიწერა

თინა ილაშვილმა

ლიტერატურული კუთხე

ახალი ლექსები – ახალი სახელები

პაატა ქოქიაური საგარეჯოელია. სწავლობდა საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლაში. შემდეგ სწავლა კომაროვის სახელობის საშუალო სკოლაში გააგრძელა. ბოლოს კი – გორის ეკონომიკის ინსტიტუტში. ამჟამად პაატა 38 წლისაა. უყვარს ლექსების წერა, მხატვრული ლიტერატურის კითხვა. რამდენიმე ლექსი მოსინჯა და დედამისს, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს მზია სახლთხუცეშვილს მოკრძალებით გამოატანა ჩვენთან ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის გასაცნობად. გთავაზობთ მის ლექსებს, შეფასება კი თქვენთვის მოგვინდია.

თბილისს

შორი გზიდან მოვსულვარ
ლექსებით და კალმითა,
მომეგებე თბილისო
შენი თბილი სალმითა.
მომენატრა ქუჩები.
ქაშვეთი და მთაწმინდა.
ვაჟას ძეგლთან ვდგევარ და
მუხლის დრეკა მომინდა.
თბილისო, პოეტების
ტკბილო დედაქალაქო.
გმირების, რაინდების
საამაყო ქალაქო.

საქართველოს!

ბნელეთს გაარღვევს სხივი ნათელი
გადაეკვრება შენ სხეულს ფარად.
დაიღვენთება წმინდა სანთელი
აგუგუნდება ზარის ხმა მარად!

ქართულ ენას!

თამარის ენავ,
შენ ღმერთის ენავ!
ქართულო ხმალო
უდრეკი ხარო.
ნინოს თითებით
ჯვარში ჩაწნულო,
ჩვენს გონებაში
ჩაბუდებულო.
დამცრობილო და
დაწუნებულო,
მეორ მოსვლის დროს
აღდგინებულო!
ენავ ლაზარე,
ჩქარა აზარეთ,
მისი სიდიდე
ყველას ახარეთ!

ფერეიდნიდან ქართული ისმის!

ქარი უბერავს
ღრუბელი მიჰქრის,
ფერეიდნიდან
ქართული ისმის!
დრო არ ჩერდება
თავისთვის მიდის,
ქართული ჯიშის
ყივილი ისმის!
ვერ დაავიწყეს,
ვერ ჩაკლეს სული,
ისევ ანთია

14 აპრილი „დედა ენის“ დღე
15 აპრილი სიყვარულის დღე

გიზგიზა გული!
ჩაკრულო მიჰქრის!
რისთვის ან ვისთვის?!
ომში წასული
მამაცი ძმისთვის!

სამასო არაგველებო!

ძმანო სამასნო არაგველებო,
მუხლის მოდრეკით მოვედით კრწანისს !
ისევ ცას სწვდება ბრძოლის ყიჟინი –
დანაფიცები ერეკლეს ხმალის!
თქვენი გმირობით გვევსება გული,
ჩვენ სიამაყით ნაბიჯებს ვადგამთ,
თქვენს წმინდა სახელს საშვილიშვილოდ
ახალ თაობის სულებში ჩავდგამთ!

აპრილი ლურჯ თვალებს ნაბავს

აპრილი ლურჯ
თვალებს ნაბავს,
ქალივით მორცხვია
დღე
და როგორც
ყოველთვის, ლამაზ
ყვავილებს
სარკმელთან ვდებ...
ყვავილის
ფურცლებში ვეძებ
შენამდე მომავალ გზას.
ცა ტირის ... დაკარგულ დღეებს
ვითვლი და კონებად ვკრავ ...

ამქვეყნად მოვლენის ყველას საკუთარი მიზეზი აქვს ...

რაღა მე მოველ უმიზეზოდ, გაუაზრებლად?... ვდარდობდი, ჰოდა ... ამიხილა უფალმა თვალი ... ზოგჯერ თოფის ტყვიაზე მეტს ნიშნავს სიტყვა ... უფრო საშიში, უფრო მჭრელი, უფრო მწველი და ... გველის ხვრელიდან ამომყვანი, დატვირთული ემოციებით, გულის გულში რომ გაატანს და სუნთქვას აშფოთებს...

მივდივარ ... ახლა ჩემი გზები მეტად გრძელია, მეტად მძიმე, მეტად მტვრიანი ... გზისპირას მკვდარი ჩიტები ყრია და ყვავილები, ჯერაც კიდევ გაუთელავი... მტკივა კენჭები ფეხის

ლიტერატურული კუთხე

გულებზე ... მტკივა მტვრიანი ორღობეები, ჩემი სავალი გზები მტკივა მტვერშეგლესილი. იქნებ თავადვე ვარ ტკივილი სრული, დაუსაბამო, დაუსრულები?...

ამომიკეტეს ზეცის კარები...დავრჩი მიწაზე ... ნარ-ეკალი ჩემი გახდა გასამარგლავი ... ჯერარდარგული ყვავილები მკერდზე მიყვავის ... ჩემი ბაღები სხვისას რითა სჯობს?... ჩემი სისხლით არის ნარწყავი, ამიტომაც ხასხასებენ ასე ვარდები ... ჩემი ცრემლები ცვარ - ნამად აქვთ დაბნეული გულზე ზამბახებს ... ნიავის ნაცვლად ჩემი სუნთქვა ეალერსებათ ... მერე იქუხებს, აცივდება, მოვა ვიდაც ნაზი ხელებით და დაუწყებს ჩემს ყვავილებს ფურცელ-ფურცელ დაწიოკებას ... ამიტირდება სული ზეცის ცისფერ კიდესთან, უფლის ფეხებთან დამხობილი...

უშენოდ სიცოცხლე

მზე ჩადის ...
ბინდია ქუჩაში...
მაკლიხარ და მერე როგორ...
სადა ხარ, რა უცებ დამტოვე,
მე, შენზე მლოცველი გოგო?!
უშენოდ იტირა ბეღურამ,
უშენოდ ნისლია გაშლილი,
ან შენთან სიცოცხლით დამატკბე,
ან შენგან სადღაც შორს გამიშვი...

თეა გურგენიძე
იორმუღანლოს საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი

ვუძღვნი ყანდაურის საშუალო სკოლის პედაგოგებს

ყველას, ყველას გეფერებით და ცხრამეტი წლის შემდეგ შორიდან გიგზავნით მოკრძალებულ ლექსს, თქვენს სიყვარულად დაღვრილს. არ იფიქროთ, რომ დრო გვავიწყებს თქვენს თავს, პირიქით – დრო გვაჩვენებს იმას, რაც ბავშვებმა "ვერ დავინახეთ". თქვენს უანგარო შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, მის ნაყოფს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით, ის ძალიან ლამაზია. დროს კი სიამოვნებით ვუბრძანებდი გაჩერებას, რომ არ დაბერდეთ, რადგან კიდევ ბევრი საქმე გაქვთ გასაკეთებელი.

ჩემს მასწავლებლებს

მე თქვენ მასწავლეთ როგორ მიყვარდეს,
რისთვის მიყვარდეს
რატომ მტკიოდეს ჩემი ქვეყანა
და რად მხიბლავდეს,
რად მიზიდავდეს სალოცავები
წმინდათა წმინდა,
დიდხანს იცოცხლეთ, ჩემო კარგებო,
ძალიან მინდა.

მე თქვენ მასწავლეთ ფასი კარგის,
ცუდის შეცნობა,
ქედს ვიხრი თქვენი შრომისა და
ღვაწლის წინაშე,
გადახდა მინდა ამაგისა, მაგრამ ბევრს ვითხოვ,
ვიცი, ძნელია, ეს ვერავინ შეძლო დედამიწაზე.

ვერ გამიგია როგორ იტევს თქვენი გული
ამდენ სიყვარულს,
ყველას არ ძალუძს, რომ უყვარდეს
სხვისი შვილები,
მე ამაყი ვარ, რომ მხვდა წილად
თქვენი შვილობა
და მე ამითაც ბედნიერი ქალი ვიქნები.

ჩემს გულში დელავს მოსავალი თქვენ
რომ დათესეთ,
მე მაპატიეთ ეგ ცრემლები თუ მოგერიათ,
აღელდა გულიც, ავფორიაქდი, მსურს,
რომ ვიხილო
უფრო მდიდრული ჯილდო, წოდება სხვა
რომელია?!

დიდი სიყვარულით და პატივისცემით თქვენი
ეთერი ოზგელდოვი

ქართულო ენავ

დიდება შენდა, ქართულო ენავ
რუსთველის ენავ,
აკაკის ენავ,
მთით მომქუხარე
ვაჟაის ენავ
სულხანისა და დავითის ენავ.
ენა ბევრია ამ
ქვეყანაზე
ანბანთა ქება იცის
თოთხმეტმა.
ენა, რომელზეც გოგლა გვმოძღვრანდა
არ უწერია გადაშენება.
ქართულო ენავ, ილიას ენავ,
შენ იარსებე მრავალჟამიერ,
სასიქადულო მამულიშვილნი
არ მოგკლებოდეს იმერ-ამიერ.
შენ ფარნავაზის ნაფერებელო
მარგალიტისებრ იაკობ შეგკრა,
დედის რძესავით შეგირგეს ყრმათა
მიტომაც მტერმა დაგაკლო ვერც-რა.
გამოქვაბულში ბევრჯერ დამალეს
წმინდა მამებმა ხელნაწერები,
გაბრაზებულმა ავყია მტრებმა
სულ დააგლიჯეს თმა და წვერები.
მაინც გადარჩა ჩვენი ანბანი
სიტყვახატული ქართული ენა,
დედის ნანინას, გალობას ღვთისას,
კვლავ ასაზრდოებს – ქართული ენა.
ქართველი ხალხის შნო და ლაზათი
დღეგრძელი იყოს ენა ქართული,
ენა, შემკული და კურთხეული,
ღმერთის წილხვედრი – ენა ქართული.

დედა ენას

დედის გულივით გულწრფელო
წიგნი ხარ მირონმდინარე,
მადლი გაქვს ალბათ საუფლო
ცოდნის გადმოგჩქეფს მდინარე.
შენით ვიგრძენით სურნელი
ქართული ანბანისაო,
ღმერთების ენად გიხმობენ
სუნთქავ ქართველ ერისაო.
ქართველთა ხსნავ და იმედო
მეორედ მოსვლის ჟამისაო,
იესოს მცნებებს მივენდოთ
შიში არ გვქონდეს რამისაო.
ვინც დედაენას უმტყუნოს
გულსა ლახვარი მიესოს,
ქვეყანას ქართულ ენაზე
განიკითხავსო – იესო.
არ ვიცი, რას შეგადარო,
წიგნო ცვარმადლნაპკურებო,
ნინველა იის სურნელით
გულს ბარძიმ მოსხურებულო.
გფარავდეს ღვთისმშობლის კალთა
ყრმათა გონების მადიდო,
სარწმუნოება, მამულო
ენა გულს მიასალბუნო.
დედაენისგან გონგახსნილს
ვინა სძლევს ქართულ გენსაო,
რწმენა ზეცამდე აიყვანთ
სიკეთე – სამოთხესაო.
ქართველთ ექნებათ სამკვიდრო
ივერთ ღვთისმშობლის მადლითო,
გიყვარდეთ ენა ქართული
ხმა ჩამოგვესმის მაღლითო.
სამების მადლი გფარავდეს
ღვთივკურთხეულო ქართულო,
"უფალო შეგვიწყალენ" და
ნუ მიგვატოვებ – იესო.

მზია მიქელაშვილი,
ყანდაურის საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის მასწავლებელი

ქალაქი და სასმელი წყალი

ერთხელ კიდევ სასმელი წყლის ნაკლებობაზე

ქალაქი და სასმელი წყალი

დასასრული

ობისა და სამრეწველო-საყოფაცხოვრებო ობიექტების მზარდ მოთხოვნილებებს. საჭირო იყო გაგრძელებულიყო წყლის მოპოვების საძიებო სამუშაოები, რაც გაგრძელდა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში.

გაზომილი იქნა " გალერეის" გარეთ დაკარგული წყლის რაოდენობა და გამოირკვა, რომ მისი რაოდენობა წამში უდრიდა 6 ლიტრს. საჭირო იყო საძიებო სამუშაოების გაგრძელება და ხევის ფსკერამდე ჩასვლა. დაკარგული წყლის ახალმა საძიებო სამუშაოებმა კოლოსალური სახსრები მოითხოვა. მაშინდელი კურსით დაახლოებით 150 000 მანეთი, რაც არ განხორციელებულა.

რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ საგარეჯოს წყლით მომარაგებისათვის სხვა გზის მოძებნა გადაწყვიტა. ასეთი რეზერვი საგარეჯოს ჰქონდა თოხლიაურის ბოლოზე წყლის საძიებო ჭების გათხრით, რაც განხორციელდა კიდეც გასული საუკუნის 80-იან წლებში. მშენებლობის პროექტი შეადგინა "საქჰიდრომშენის" ინსტიტუტმა. პროექტის განხორციელების თანხამ მაშინდელი კურსით 725 000 მანეთი შეადგინა.

მშენებლობა დაიწყო 1974 წელს. მშენებლობას შეუდგა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №11 ტრესტის მოძრავი მექანიზებული კოლონა №36 (უფროსი – ვ. თოდუა), რომელმაც ძირითადი სამუშაოების წარმოება გადასცა სოფლის მშენებლობის სამინისტროს სპეციალიზირებული ტრესტის მოძრავ მექანიზირებულ კოლონა №25-ს (უფროსი-გ. ჭელიძე).

წყალსადენის მშენებლობის სათავე-ნაგებობა "ალინჯის" ბოლოს "ნასადგომარში", კახეთის რკინიგზის სამხრეთით დაიწყო, სადაც გაიბურღა სამი ჭაბურღილი, აშენდა 1000 ტონის ტევადობის მთავარი რეზერვუარი. ზედა რეზერვუარი მოეწყო გიორგიწმინდაში, "ნაცვლიაანთ უბანში", საიდანაც წყალი 229 მილიმეტრი, დიდი დიამეტრის მილებით თვითდინებით ჩადის "ფერდოს უბნის" 1000 ტონის ტევადობის რეზერვუარში. გარდა ამისა, გიორგიწმინდის რეზერვუარიდან გიორგიწმინდის და "ფერდოს უბნის" მოსახლეობისათვის უნდა განცალკევებულიყო 150 მილიმეტრის დიამეტრის ტევადობის მილგაყვანილობა, ხოლო დანარჩენი წყალი უნდა წასულიყო "ფერდოს უბნის" რეზერვუარში, რომელიც წყალს მიაწვდიდდა ქალაქ საგარეჯოს და ნინოწმინდას. ეს მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 1981 წელს.

მშენებლობა დამთავრდა დიდი ხარვეზებით, რომელიც სამწუხაროდ მთლიანად ლიკვიდირებული იქნა საქართველოში შექმნილი 90-იანი წლების შავბნელ პერიოდში.

ახლა საგარეჯოში ახალი წყალსადენი მოქმედებს, რომელიც რეკონსტრუირებული იქნა 2008 წლის დასაწყისში. წყალსადენმა შედარებით ნორმალურად იმუშავა პირველ ორ წელიწადს, მაგრამ თანდათან, რაც დრო გადის ახალი წყალსადენი მწყობრიდან გამოდის, მიუხედავად იმისა, რომ საგარეჯოში ჩამოყალიბებულია "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების საგარეჯოს სერვისცენტრის" ორგანიზაცია, მაინც ვერ იქნა და ვერ დამყარდა წესრიგი სასმელი და ტექნიკური წყლით მოსახლეობის მომარაგების საკითხში. მოსახლეობა შეჭირვებულია სასმელი წყლის უკმარისობით, ამას ხელს უშლის თვითონ მოსახლეობის დაბალი კულტურა, ზოგიერთ უბანში მეზობლები ისე არიან ერთმანეთს გადაკიდებული, რომ საჭირო ხდება მათი გაშველება და შერიგება.

წყლის საკითხი საგარეჯოში კვლავ კარდინალური საკითხია. მართალია, დღეს "საგარეჯოს გაერთიანებული წყალმომარაგების საგარეჯოს სერვისცენტრი" კერძო კომპანიონთა ხელშია, მაგრამ თუ რაიონის ხელმძღვანელობამ მისი კომპეტენციის ფარგლებში სერიოზული ყურადღება არ მიაქცია სასმელი და ტექნიკური წყლით მოსახლეობის მომარაგებას, პრობლემები კიდევ კარგა ხანს არ მოიხსნება.

ალექსანდრე ელერდაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, პენსიონერი

კულტურის კერა

ღირსეულ ადამიანებს – ღირსეული დაფასება

პატარძეულის სასოფლო კლუბი გასული საუკუნის 90-იან წლების ბოლომდე კულტურის სახლად იწოდებოდა. 1980 წელს მართლაც რომ დიდი ზეიმით გაიხსნა დიდი გოგლას მშობლიური სოფლის კულტურის კერა, სადაც ისეთი ღონისძიებები ტარდებოდა, რესპუბლიკის ნებისმიერ წამყვან კულტურის კერასაც კი შეშურდებოდა... დრომ ყველაფერი გადააფასა, ზოგი ღირებული თვალს მოეფარა წარსულის დიდების მტვერში. პატარძეულის კულტურის კერას კი, მიუხედავად ერთ პერიოდში კარზე ბოქლომის დადებისა, ჰყავდა გულშემატკივრები, რომლებიც მფარველობდნენ შენობას, ინვენტარს, უფრთხილდებოდნენ, ზოგჯერ ავი ხელისგან და ავისმზრახველებისგანაც იცავდნენ. 90-იან წლებში აქ გოგონათა ქორეოგრაფიული ანსამბლი "მარიტა" იმ წარმატებებისთვის ემზადებოდა, რომელმაც მხოლოდ კახეთის მხარეში როდი მოუტანა სახელი ... აქ ბავშვთა თეატრი ფუნქციონირებდა საქართველოს დამსახურებული რეჟისორის ლადო ცხვარიაშვილის ხელმძღვანელობით.

აქ იყო ხელგარჯილობის (ჭრა-კერვის), რომელიც ახლაც ფუნქციონირებს და ეკა ჭინჭარაძე პატარძეულის ახალგაზრდა დიასახლისებსა და გოგონებს ჭრა-კერვას ასწავლის. ფუნქციონირებს მუსიკის შემსწავლელი წრე, სადაც პედაგოგი თეა გლოველი ფორტეპიანოს და ვოკალის გაკვეთილებს უტარებს აქაურებს. წლების წინ და ამ ცოტა ხნის წინაც აქ ხატვას ლელა ონაშვილი ასწავლიდა, მაგრამ ახლა ლელა ხატწერის საიდუმლოებებს ეუფლება და დროებით აქ ხატვის წრის მუშაობა შეჩერებულია...

პატარძეულის საკლუბო მუშაობის სპეციალისტი თინათინ ბერძენიშვილი პატარძეულელია. მის შემოქმედებას მხოლოდ პატარძეულელები როდი იცნობენ. თინამ თბილისის ა. პუშკინის (ახლანდელი ილიას) სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების კლასების პედაგოგიკის ფაკულტეტი დაამთავრა, პარალელურად თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი ქორეოგრაფული და საკლუბო მუშაობის სპეციალობით. თინა საგარეჯოელ მაყურებელს სცენიდან საგარეჯოს ქორეოგრაფიული ანსამბლის "გარეჯის" სოლისტობიდან ახსოვს. მუშაობა პატარძეულის სასოფლო კლუბში დაიწყო სამხატვრო ხელმძღვანელად, შემდეგ კი ახლადგახსნილი კულტურის სახლის დირექტორად და შენობა, რომელიც

დღეს 34 წლისაა და კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს, თინასათვის თავისი სახლის შემდეგ მეორე ნავსაყუდელია. რა ქნას, ვერ შეელია ვერც ქორეოგრაფობას, ვერც ამ კედლებს, რომლებიც გვარიანად დაბზარულ-დაზიანებულია. მიუხედავად ამისა, საახალწლოდ ისეთი ღონისძიება გამართეს სცენაზე პატარძეულელმა და თოხლიაურელმა (საკლუბო მუშაობის სპეციალისტი ლამზირა ზაქაიძე) სცენისმოყვარულებმა პატარძეულის ბიბლიოთეკარის თინა მუჩიაურის გვერდში დგომით, რომ დამსწრე საზოგადოებას დღესაც ახსოვს იმ დღის სილამაზე. ერთი ასეთი სამახსოვრო და ინტერესიანი დღე აჩუქეს თინათინ ბერძენიშვილმა და თინათინ მუჩიაურმა პატარძეულის სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად პატარძეულელებს – სარვამარტო ღონისძიება პატარძეულელ გამოჩენილ ქალებს მიეძღვნა.

– რეზო ინანიშვილის შემოქმედებას თითქმის ყოველდღიურად ვკითხულობ, რატომღაც ამეკვიატა მისი მოთხრობიდან ერთი ფრაზა "მეჩვენება, რომ სიყვარული კლებულობს". ეს რომ ნამდვილად ასე არ არის, ჩვენს მიერ მოწყობილმა ღონისძიებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა. უბრალოდ, ყოველდღიურმა საზრუნავმა ერთნაირად წაგვართვა დრო ერთმანეთთან შეხვედრის, სიყვარულის გამოხატვის, - მეუბნება თინათინი, - ქალთა საერთაშორისო დღისადმი გამართულ ღონისძიებაზე ჩვენ მოვიწვიეთ პატარძეულელთათვის პატივსაცემი და საყვარელი ქალბატონები, რომელთაც ერთ დროს თავიაანთი აქტიური მოღვაწეობით სოფლის მოსახლეობის სამსახურში იდგნენ. აქ იყვნენ პენსიონერი პედაგოგები: 80 წლის მანანა სოზაშვილი (პატარძეულის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი), ღირსების ორდენის კავალერი – მარო ჯავახიშვილი, ვარდო ზედელაშვილი, ლამარა მთვრალაშვილი, თინა კობერიძე, ნელი ენაგელი, ექიმი – ნანული ბედოიძე, იურისტი – ზაირა მარტიაშვილი, ექიმი – ლაბორანტი, ოთხი შვილის დედა – დალი მარხვაშვილი, ყოფილი საბავშვო ბაღის გამგე – თინა ფაფიაშვილი, ფინანსისტი – ციური ცხვარიაშვილი და სხვები.

ეს იყო იმ თაობის, იმ ადამიანების შეხვედრა, რომლებიც პატარძეულის ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარების საქმეში დიდ წვლილს იღებდა, ვინც თავიაანთი ცხოვრების მაგალითით მართლაც სამაგალითონი იყვნენ არა მარტო თანასოფლელთათვის. ისინი ერთად მიდიოდნენ გამარჯვებებისკენ, ერთად უფრთხილდებოდნენ სოფლის სახელს. ამიტომაც იყო მათი შეხვედრა ამაღელვებელი, დიდი სიხარულის ტალღის გამომწვევი. მათ მიესალმა და ძალიან ლამაზი საჩუქრები გადასცა საგარეჯოს კულტგაერთიანების ობიექტების დირექტორმა ბესო ღვინაშვილმა. ასევე მიესალმნენ საგარრეჯოს კულტურის სახლის მენეჯერი თინათინ მეზვრიშვილი, პატარძეულელები მარინა დიღმელაშვილი, ნინო ბურდიაშვილი, მარინა ჭინჭარაძე, ნანა ფაფიაშვილი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ის მენეჯერი ნინო შათირიშვილი, საგარეჯოს თეატრალური დასის მსახიობი და პედაგოგი ნანული ბილანიშვილი, პატარძეულელი პოეტი რომან ზუკაკიშვილი კი საკუთარი ლექსით მოეფერა აქ მოწვეულ მანდილოსნებს. ღონისძიება მართლაც რომ ღირსეულად მიჰყავდათ სალომე გიუნაშვილს და დემეტრე ზუკაკიშვილს. ამ შეხვედრით ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ კვალი ნათელი არასოდეს იბინდება და არც სიყვარული ქრება, ის სიყვარული, რომელსაც ჩვენ ესოდენ დიდი რუდუნებით მოვიპოვებთ ჩვენი სიცოცხლის მანძილზე.

სიყვარული კი მართლაც გვიბიძგებს შრომის, ამაგის, ადამიანებისადმი გაცემული სითბოს დაფასებისკენ. დღეს ჩვენ სწორედ ამ საკითხზე ვმუშაობთ. პატარძეულელებს გვყავს შორეული ნაოსნობის გემის კაპიტანი გელა (გიორგი) უნაფქოშვილი. დამეთანხმებით, რომ კახეთს არ ჰყავს მეორე ამ რანგის კაპიტანი. ჩვენ გვეამაყება მისით და იმ სიყვარულით, რომელსაც მას და მის ოჯახს უყვარს პატარძეული. სადაც არ უნდა იყოს გელა, ყოველთვის პატარძეულში ბრუნდება – თავის მშობლიურ, წყნარ, ლამაზ ნავსაყუდელში. ივნისში შორეული ნაოსნობის კაპიტანი საქართველოში ბრუნდება. ჩვენ ვემზადებით მის ღირსეულად დასახვედრად. პატარძეულის სასოფლო კლუბს ამის რესურსი გააჩნია – გვყავს მოცეკვავე ულამაზესი რვა გოგონა, მომღერლები ნინო მუჩიაშვილი და ნინო ცხვარიაშვილი, რომლებმაც სწორედ რომ ჩვენს კლუბში, ვოკალის შემსწავლელ წრეზე ისწავლეს სიმღერა. გვყავს გამოცდილი ძალა, რომელიც ღირსეულად დახვდება ჩვენი სოფლის საამაყო შვილს – გელა უნაფქოშვილს.

მართალია, ჩვენი სასოფლო კლუბის შენობას, კაპიტალური რემონტი და ნორმალური განათება სჭირდება, მაგრამ მოდით, მართლაც ღირსეულად დავხვდეთ შორეული ნაოსნობის კაპიტანს, ჩვენთან, დარბაზში 300 სკამია, გელოდებით !

მინდა ვისარგებლო და გაზეთის საშუალებით მუნიციპალიტეტის საკლუბო მუშაობის სპეციალისტების სახელით მადლობა გადავუხადო აიპ საგარეჯოს კულტგაერთიანების ობიექტების დირექტორს ბესო ღვინაშვილს და საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერს თინათინ მეზვრიშვილს იმ თანადგომისა და დახმარებისთვის, რომელსაც ისინი იჩენენ თითოეული საკლუბო მუშაობის სპეციალისტის მიერ ლამაზად მომზადებული ღონისძიების, ჩვენი ნაყოფიერი მუშაობის მიმართ.

ჭადრაკი 2014

მსოფლიო საჭადრაკო სიახლეები

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ცნობილია, რომ მარტში, ქალაქ ერევანში მიმდინარეობდა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ჩატარდა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის მემორიალის ეგიდით. ჩემპიონატმა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების 260-მდე უძლიერესი მოჭადრაკეები, დიდი ინტერესი გამოიწვია. 11 შესაძლებლობიდან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ალექსანდრე მოტილევმა (რუსეთი), 2-9 ადგილები 8 ქულით დაიკავეს დ. ანტონიმ (ესპანეთი), ვ. ფედოსეევმა (რუსეთი), დ. შოლაკმა (თურქეთი), პ. ელიანოვმა (უკრაინა), კ. ლუპულესკუმ (რუმინეთი), დ. ნავარამ (ჩეხეთი), . შარიჩმა (ხორვატია), ი. ლისიიმ (რუსეთი), 10-24 ადგილები 7.5-7.5 ქულით გაინაწილეს გ. მელკუმიანმა (სომხეთი), რ. ვოიტაშკმა (პოლონეთი), დ. იაკოვენკომ (რუსეთი), ვ. არტემიევმა (რუსეთი), ი. სმირინმა (ისრაელი), ლ. ფრესსინემ (საფრანგეთი), გ. სარქისიანმა (სომხეთი), ა. პრეშჩენკომ (უკრაინა), მ. მერუნოვიჩმა (სერბეთი), ი. ჩეპარინოვმა (ბულგარეთი), ვ. იორდანესკუმ (მოლდავეთი), ს. ჟიგალკომ (ბელარუსია), ს. ტერ-სააკიანმა (სომხეთი), ჩ. ახალოგიმ (უნგრეთი), გ. ოპარიანმა (რუსეთი), 24-მა საუკეთესო მოჭადრაკემ მოიპოვა უფლება ითამაშონ მსოფლიო თასის შემდგომ გათამაშებაში. სამწუხაროდ, 24 საუკეთესოთა შორის ვერ მოხვდა საქართველოს ვაჟთა ნაკრების ლიდერი ბაადურ ჯობავა და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ქალი მოჭადრაკე უნგრელი იუდით პოლგარი.

ხანტი – მანსიისკში (რუსეთი) 11 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით მიმდინარეობდა პრეტენდენტთა ორწრიანი ტურნირი მსოფლიოს 8 სუპერდიდოსტატის მონაწილეობით, რომელსაც უნდა გამოევლინა მსოფლიოს დღევანდელი ჩემპიონის მანგუს კარლსენის (ნორვეგია) მომავალი მეტოქე, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში შეეცილება მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვებაში.

8 სუპერდიდოსტატთა შორის არიან – ლევონ არონიანი (სომხეთი, რეიტინგი 2830), ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი, 2787), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2785), მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ვიში ანანდი (ინდოეთი, 2770), სერგეი კერიაკინი (რუსეთი, 2766), პეტრე სვიდლერი (რუსეთი, 2758), შახრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2757), დიმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი, 2705).

9 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე ინდოელი ვიში ანანდი – 6 ქულით, მეორე ადგილზეა ლევონ არონიანი – 5 ქულით, 3-5 ადგილებზე არიან 4.5-4.5 ქულით ვლადიმერ კრამნიკი, სერგეი კარიაკინი, შახრიარ მამედიაროვი, 6 -7 ადგილებზე არიან პეტრე სვიდლერი და დიმიტრი ანდრეიკინი, ბოლო მე-8-ზეა ბულგარელი ვესელინ ტოპაგოვი 3.5 ქულით.

მსოფლიოს დღევანდელი ჩემპიონი მაგნუს კარლსენი გულდასმით ადევნებს თვალყურს ხანტი-მანსიისკში მიმდინარე პრეტენდენტთა ტურნირს და ელოდება მომავალ მეტოქეს. როგორც მაგნუს კარლსენის მრავალწლიანი და ერთგული მენეჯერი ესპენ აგდესტეინი აღნიშნავს – მაგნუსის ბრაზილიაში წარმატებული ტურნეს შემდეგ, მან გზად შეიარა სპონსორულ საქმეებზე საფრანგეთის რივიერაზე, იყო აგრეთვე კანში, სადაც ივარჯიშა გოლფში. იგი უახლოეს ხანში ითამაშებს ბაქოში, ცნობილი აზერბაიჯანელი დიდოსტატის ვუგარ გაშიმოვის მემორიალში მსოფლიოს 10 უძლიერეს მოჭადრაკეთა შორის, ხოლო ივნისის დასაწყისში ითამაშებს მონტენეგროში.

საქართველოს ჭადრაკის სიახლეები

ვეტერანებმა გვასახელეს

მარტის ბოლო დღეებში საბერძნეთში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი სენიორთა (ვეტერანთა) შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ვეტერანმა მოჭადრაკეებმა – მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ნონა გაფრინდაშვილმა, ციალა ქასოშვილმა, ნინო გურიელმა, თამარ ხმიადაშვილმა, ზურაბ სტურუამ როგორც ჭადრაკის კლასიკურ სახეობაში, ასევე რაპიდში და ბლიცში.

რაპიდში გამართულ შეჯიბრებაში 50 + ასაკის მოჭადრაკეთა შორის ციალა ქასოშვილმა 9-დან 6.5 ქულით ქალთა შორის აჩვენა საუკეთესო შედეგი, ხოლო მამაკაცთა შორის ციალამ დაიკავა IV ადგილი – მე-3 ადგილზე გასულ ჩვენს გამოჩენილ ვეტერან მოჭადრაკეს ზურაბ სტურუას ჩამორჩა ნახევარი ქულით.

ნინო გურიელი 5 ქულით ქალთა შორის მეორე იყო, ხოლო მამაკაცთა შორის მე-8 ადგილი დაიკავა; შესანიშნავად იასპარეზა ნონა გაფრინდაშვილმა რაპიდში 65 + ასაკის მონაწილეთა შორის, 9-დან 6.5 ქულით პირველობა არავის დაუთმო, ხოლო ვაჟთა შორის იყო მესამე. თამარ ხმიადაშვილმა 5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ელვისებურ ჭადრაკში 50 + მამაკაცთა შორის ვერცხლის მედალი მოიპოვა საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ სტურუამ 9-დან 6.5 ქულით. ციალა ქასოშვილმა ქალთა შორის პირველობა მოიპოვა ელვისებურ ჭადრაკში, ნინო გურიელი გავიდა მეორე ადგილზე. ნონამ ბლიცში მამაკაცთა შორის მე-3 ადგილი დაიკავა რუმინელი დიდოსტატის მიხაი შუბასა და ლატვიელი ალგიმანტას ბუტნორიუსის შემდეგ. ქალთა შორის ნონას შემდეგ მეორე შედეგი აჩვენა თამარ ხმიადაშვილმა. საბოლოო ჯამში ქართველმა სენიორებმა 7 სხვადასხვა მედალი მოიპოვეს : კლასიკურ ჭადრაკში – ვერცხლი ნონა და ციალა ქასოშვილი; ბრინჯაო – ზურაბ სტურუა; რაპიდი – ბრინჯაო ნონა და ზურაბ სტურუა; ელვისებური – ვერცხლი – ზურაბ სტურუა, ხოლო ბრინჯაო – ნონა გაფრინდაშვილი.

მარტში თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო აკადემიაში ჩატარდა ქართველ პროფესიონალ მწვრთნელთა სემინარი. ლექციები წაიკითხა ფიდე-ს (ჭადრაკის მსოფლიო ფედერაცია) სენიორ-მწვრთნელმა, საერთაშორისო დიდოსტატმა მიხეილ გურევიჩმა. მწვრთნელებს გადაეცათ სერტიფიკატები; სემინარში მონაწილეობდნენ მწვრთნელი-პედაგოგები: 1. ლიანა თედორაძე (ქედა), 2. გიორგი ჭანტურიძე (ზესტაფონი), 3. ნესტან მახათაძე (ხელვაჩაური), 4. შუქრი შავაძე (ხაშური), 5. გოჩა თორია (ზუგდიდი), 6. რევაზ თოფურია (თბილისი), 7. ლევან ბახტაძე (თბილისი), 8. კონსტანტინე შანავა (თბილისი), 9. გიორგი ღლონტი (ფოთი), 10. ირმა ბეჟაშვილი (ისრაელი), 11. გია ჩომანია (გულრიფში), 12. გოჩა ჩაჩუა (ფოთი), 13. გელა ღვამბერია (ფოთი), 14. გიორგი გოგიჩაიშვილი (თბილისი), 15. სერგო ცომაია (თბილისი), 16. დავით კოდუა (ფოთი), 17. ვახტანგ ძაგანია (ფოთი).

დასასრული მე-8 გვ.

მილოცვა

მარიამ ძურდოვანიძეს

დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო მარიამ! გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს სწავლაში და ქორეოგრაფიაში. ჯერ მხოლოდ 10 წლის გახდი სიყვარულის დღეს დაბადებულო, მაგრამ ჩვენ უკვე ვამაყობთ შენი წარმატებებით, რომელსაც შენ შენი კარგი სწავლით და სანიმუშო ქცევით მიაღწიე – მაშ წარმატებებისკენ, მარიამ!

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ თანამშრომლები

დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ჯერ პატარა, მაგრამ უკვე 2 წლის დაიკო **ნინოს**, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ახლობლების სიყვარულსა და წარმატებებით ჩვენს გახარებას.

გაიზარდე ჩემო დაიკო!

მარიამ აგულაშვილი



აიპ „საგარეჯოს სპორტ-გაერთიანების თანამშრომლები დაბადების დღეს ვულოცავთ **მაია ჯავახიშვილსა** და **მაკა ოზგელდოვი-არჩუაძეს.** სიკეთე, სიხარული და წარმატებები პირად ცხოვრებასა და სამსახურებში, ჩვენო კარგებო!

არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირი

12 აპრილს საგარეჯოს სპორტდარბაზში პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონის , მსოფლიო ჩემპიონის , სსრ კავშირის ჩვიდმეტგზის ჩემპიონის **არსენ მეკოკიშვილის** სახელობის ტურნირი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში. მასში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების და ქალაქების თავისუფალი ჭიდაობის 15 გუნდი იღებდა მონაწილეობას. ტურნირის 167 მონაწილე 13 წონით კატეგორიაში ცდიდა ბედს.

ბოლნისის, მარნეულის, სოფ. დიღომის, ახმეტის, კასპის, მცხეთის, თბილისის სხვადასხვა სპორტული კლუბების, დედოფლისწყაროს, რუსთავის ვარკეთილის, საგარეჯოს თავისუფალ მოჭიდავეთა შორის საგარეჯოელთაგან პირველი ადგილები დაიკავეს: ლაშა ჩახმახაშვილმა (47კგ წონითი კატეგორია), გიგი ქურხულმა (32კგ), მიხეილ ბოჭორიძემ (58კგ). მეორე ადგილებზე გავიდნენ: თორნიკე ასაბაშვილი (23 კგ), გიგა დოლენჯაშვილი (32კგ), ომარ ასაბაშვილი (53კგ), გიორგი ბურჯანაძე (58კგ). მესამე ადგილზე: შალვა გულისაშვილი (23კგ), აკაკი რომაშვილი (26კგ), ვასილ დიღმელაშვილი (38კგ), ბაჩო ქვლივიძე (42კგ), დავით კუჭუაშვილი (42კგ), ნიკა მესროფოვი (58კგ), დავით მარტაშვილი (66კგ).

ტურნირის გამარჯვებულები მედლებით, პრიზებით, სიგელებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში ირაკლი შიოლაშვილმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლოლაძემ, მსოფლიოს, ევროპის, სსრკ-ს ჩემპიონებმა, არსენ მეკოკიშვილის ვაჟმა გიორგი მეკოკიშვილმა.

ტურნირს მთავარი მსაჯის სტატუსით ესწრებოდა და გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცა ბეჭდაუდებელმა ფალავანმა, ორგზის ოლიმპიური თამაშების, ხუთგზის მსოფლიო და მრავალგზის ევროპისა და სსრკ ჩემპიონმა ლევან თედიაშვილმა. ტურნირს ესწრებოდნენ ახლო წარსულში ცნობილი ფალავნები: შურა მაისურაძე, რომან რურუა, გურამ საღარაძე, ნოდარ მოდებაძე, გუჯა ბითარიშვილი და სხვები.

ჭადრაკი 2014

მე-7 გვერდიდან

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სიახლეები

გიგი ივანელაშვილმა და ნიკა კევლიშვილმა გვასახელეს

2014 წლის 2-10 აპრილის ჩათვლით თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა ჭადრაკში 8 და 12 წლის ასაკის გოგონებსა და ბიჭებს შორის.

ოზურგეთელი ნორჩი მოჭადრაკის თორნიკე მახარაძის გამარჯვებით დამთავრდა 12 წლის ბიჭების საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირი. 9-დან 7,5 ქულით დაიკავა პირველი ადგილი და 1 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ გიორგი ელაშვილს და მარლენ გუნიას (მესამე ადგილი). ამ სამეულს გარდა უმაღლესი ლიგის საგზურები მოიპოვეს გიორგი დემურხანაშვილმა, ნიკა კევლიშვილმა, თორნიკე წერეთელმა , გიორგი ჯიქიამ (6-6 ქულა), ვლადიმერ ჩახალიანმა, დავით ჩახალიანმა და დავით ირემაშვილმა (5.5 ქულა). 33 მონაწილეს შორის 5 ქულით მე-12 იყო ლუკა გურჯიძე.

ნიკა კევლიშვილს, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან – 10 წლის ბიჭებში უკვე მოპოვებული აქვს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური, ამჟამად მან აგრეთვე მოიპოვა 12 წლის ბიჭებში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური, რაც წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ლუკა გურჯიძესაც მოპოვებული აქვს 10 წლის ასაკის ბიჭებში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური, ამჯერად მას 1 ქულა დააკლდა 12 წლიანთა უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად. გვასახელა 8 წლის ბიჭებში – გიგი ივანელაშვილმა, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში 9-დან 7 ქულით დაიკავა მეორე ადგილი, დაიმსახურა ვერცხლის მედალი და ამასთან საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური, რაც თვალსაჩინო წარმატებაა!

პირველი ადგილი 9-დან 7,5 ქულით დაიკავა თორნიკე კუპატაძემ.

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის შეჯიბრება 8-დან 12 წლის გოგონებსა და ბიჭებს შორის გაიმართება 2014 წლის 3-12 მაისს, ქალაქ მარნეულში.

თენგიზ კოგიაშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com

მონატრება

რობინზონ (რობა) ოთარის ძე როსტიაშვილი

უკვე ორმოცი დღეა საშინელი მონატრების გრძნობით გულდამძიმებული დედაშენი გაურკვეველიმიმართულებით იყურება და გეძებს, გელოდება დიდი მონატრებით.

შენ კი არ ჩანხარ, ჩემო საყვარელო შვილო!

რა მძიმე და უსაშველო განცდაა მონატრება და მოლოდინი, შვილო! ძალიან მიმძიმს უშენოდ. იცოდე, ყოველდღე გელოდები და უსასრულოდ დაგელოდები ჩემო საყვარელო. დაგელოდები იქამდეო სანამ მეც შენთან არ მოვალ და მარადისობაში ერთად არ დავიდებთ ბინას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

უსაზღვროდ და ძლიერად მენატრები, ჩემო საყვარელო შვილო!

დედა

უკვე ორმოცი დღეა გელოდებით, უკვე ორმოცი დღეა დაიკეტა შენი სახლის კარები, წახვედი და დაგვიტოვე საშინელი მონატრების გრძნობა, რომელსაც ვერაფერს ვუხერხებთ და თითქოს გვახრჩობს.

საშინლად დაგვაკლდი რობა! ძნელია ელოდო ადამიანს, რომელიც აღარასდროს მოვა.

მარტი შენთვის და შენი ოჯახისთვის ძალიან ტკივილიანი გამოდგა – 8 მარტი ყველას საშინელი ტრაგედიით მიულოცე. ერთი დაიძახე – ცუდად ვარო და ვერაფერი ვედარ გიშველეთ.

მართლა ძალიან გვაკლიხარ და უსაშველოდ გვენატრები.

ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო რობა!

ოჯახისგან

ჩვენო საყვარელო თანაკლასელო, ჩვენო რობა!

გაიკეტე კარები და წახვედი, წახვედი სამუდამოდ, დაგვიტოვე საშინელი მონატრების გრძნობა.

დააკლდი ოჯახს, ახლობლებს და თანაკლასელებს. შენ ხომ ამხანაგობა და გატანა შეგეძლო. მაგარი, გულიანი ადამიანი იყავი.

ასეთი ყოფილა სიკვდილი, ულმობელი და დაუნდობელი.

ნათელში იყავი, მშვიდად განისვენე ჩვენო თანაკლასელო და კეთილო ადამიანო!

თანაკლასელები

დათო ამბარდნიშვილის მონატრება



დათო, შვილო, დრო ულმობლად გარბის, წელი-წელს მისდევს, შვიდი წელი გავიდა, რაც დედა ვერ გხედავს. მე ვბერდები, შენი შვილის იზრდება, შენ კი ისევ 31 წლისა ხარ. შენ სულ ახალგაზრდა მოაგონდები შენს ახლობლებსა და დედას. მე რად მინდა, შვილო, წლების მატება. ნეტავი, მე შენზე ადრე წავსულიყავი, შენს მაგივრად, მაშინ ვიქნებოდი ბედნიერი. ყოველი დღე, ყოველ წუთს მე შენთან ვარ, შვილო, მაგრამ რა? მე ცოცხალი ვარ! ჩემო საყვარელო, ჩემო უძვირფასესო შვილო, დათო ყველაფერზე მინდა მადლობა გადაგიხადო. დღეს მე თუ ცოცხალი ვარ (თუ ამას სიცოცხლე ჰქვია?!) ჯერ იმიტომ, რომ დღემდე შენზე მხოლოდ კარგი მესმის, დღემდე ყველა პატივს გცემს, დღემდე მოგტირიან, შენს საფლავს არ ტოვებენ, ხშირად იკრიბებიან შენი ამხანაგები – ბიჭებიც და გოგოებიც. ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს და დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ როგორი მტკივნეულია ჩემთვის დათო, რომ შენ ტოლ-ამხანაგებში აღარ ხარ. ბიჭები რომ შეიკრიბებოდნენ, შენ სულ ცენტრში იდექი, ყველა შენ გისმენდა. მერე კიდევ მადლობელი ვარ შენი და უფლის, რომ შენი შვილი დამიტოვე, ჯერ-ჯერობით იკაკო მაცოცხლებს, ჩემო შვილო, მაგრამ ახლა დედა წაიყვანს საზღვარგარეთ და მერე ალბათ ეს მომიდებს ბოლოს. იცი, შვილო, შენი შვილი როგორ გემსგავსება, რაც იზრდება, სულ უფრო გგავს, მგონია, ალბათ შენი მაგიერია – ალბათ ღმერთს ჩემი ცოდო-მადლი კიდევ ჰქონია. შენი ირაკლი უკვე 12 წლისაა. 5 წლის იყო, როცა შენ სადამოს ეზოში დატოვე, მამი, მალე მოვალო, – უთხარი და მას შემდეგ სულ გელოდება. 5 აპრილის სადამოს წახვედი, 6 აპრილს წითელი პარასკევი თენდებოდა მაშინ და ღმერთმა თავისთან გიხმო. მამა გიორგიმ მაშინვე მითხრა, შენი დათო პირდაპირ სამოთხეშიაო.

მაინც ღმერთმა როგორ გაგიმეტა სასიკვდილოდ? ეს ხომ ყველამ კარგად იცის, როგორი გულკეთილი, ალალი, სამართლიანი და ვაჟკაცური ბიჭი იყავი. 7 წელია ჩვენს ოჯახში მხიარულება, სიცილი, სიმღერა შეწყდა, შენი ძმისშვილებიც კი თავს იკავებენ, რომ ზედმეტი მხიარულება არ იყოს. შენი ძმა ფრთებჩამოყრილი დადის, მამამ კი ვერ გაძლო და ორ თვეში შენთან არჩია ყოფნა.

ღმერთო, დაუმკვიდრე წმინდა სასუფეველი ჩემს დათოს და ჩემს ძვირფას მეუღლეს-ჯემალს.

ჩემო იუბილარო, გაუხარელო შვილო დათო, ნათელში იყავი შენც და მამაც.

დედა